ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 123 (19565) ◆ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲫᲘᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ



ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲫᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲔᲜᲔᲠ�გᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საქვაბე-სატურბინო საამქროში ენერგობლოკის შემანქანედ. ერთი წლის შემდეგ იგი ცვლის უფროსად გადაიყვანეს, ხოლო გასული წლის ნოემბრიდან საამქროს უფროსის მოადგილეა ექსპლოატაციის დარგში.

ახალგაზრდა ინჟინერი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საამქროს კოლექტივმა სახელმწიფო გეგმები გადაჭარბებით შეასრულოს და მოწინავეთა რიგებში იყოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თენგიზ ძამაშვილი.

Ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ პირველი თვეებიდან ქვეყნის საწარმოო კოლექტივების ყველაზე ცხოველ ინტერესს იწვევს ვოლგის ავტოქარხნის მუშაობა. მისმა მშრომელებმა, როგორც ცნობილია, იკისრეს ვალდებულებანი, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ზრდის საკონტროლო ციფრებს, და ითხოვეს მათი წინადადებანი შეეტანათ სახელმწიფო გეგმაში. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ინიციატივის ერთ-ერთი წანამძღვარი გახდა გამოცდილება გამჭოლი სამეურნეო ანგარიშისა — მთლიანად საწარმოდან თითოეულ ბრიგადამდე, თითოეულ სამუშაო ადგილამდე.

ახლა მიმდინარე სამეურნეო მექანიზმის ღრმა გარდაქმნა ფართო ასპარეზს უსახავს მასების შრომითს შემოქმედებას, სტიმულს აძლევს კოლექტივების დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. თავის მხრივ, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, საწარმოთა უფლებების გაფართოება, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და სოციალისტური გერგილიანობის გაძლიერება რეალურ შინაარსს მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენს, თუ იზრდება თვით მშრომელი ადამიანის აქტიურობა. ამისათვის კი, ფასდაუდებელია სოციალისტური შეჯიბრების დამრაზმველი როლი.

პრაქტიკა მოწმობს, რომ სწორედ სამეურნეოანგარიშიან კოლექტივებს აქვთ ყველაზე დიდი და სტაბილური წარმატება. მაქსიმალური ეფექტი უმცირესი დანახარჯებით — აი არსებითად რას აღწევენ შეჯიბრების მონაწილენი, როცა ეურდნობიან შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ მეთოდებს. ისინი ამით ხელს უწყობენ ხარჯვასაწინააღმდეგო მექანიზმის შემუშავებასა და ამოქმედებას, რაც დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეკონომიკაში. და სიუკეთესო შედეგებს, როგორც ვოლგელ ავტოკარხნელთა და სუმელ მანქანათმშენებელთა გამოცდილება მოწმობს, აღწევენ მაშინ, როცა თვითანაზღაურების პრინციპით მუშაობს მთელი საწარმო, ხოლო თითოეულის შემოსავლის დონე, მათ შორის შეჯიბრებაში მიღებული პრემიის ოდენობაც დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე. ამ შემთხვევაში სამეურნეო ანგარიში და სოციალისტური შეჯიბრება ერთმანეთს ავსებენ, ერთიანდებენ სახელმწიფოს, დარგის, შრომითი კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ინტერესებს.

მაგრამ ბევრ საწარმოში შეჯიბრების შექმნილი სისტემა ადამიანებს კვლავინდებურად მოავარ ორიენტირად უსახავს მოცულობითს მაჩვენებლებს. შრომითი მეტოქეობის ფორმებისა და სახეობების სიმრავლეს, ზოგჯერ ხელოვნური თაოსნობების წარმოშობას, ისეთი პროდუქციის საზიანოდ სხვა სახეობის პროდუქციის გამოშვების მუყაოლა ციფრის გამოდევნებას ის მოპყვა, რომ ზოგან შეილახა შეჯიბრების ავტორიტეტი, ზოგიერთი არაშორსმჭვრეტელ ხელმძღვანელს შეჯიბრება ლამის მეურნეობრიობის თანამედროვე მეთოდების დაბრკოლებად მიაჩნია. ამავე დროს საქმე ეხება იმას, რომ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია შევუსაბამოთ ეკონომიკის ინტენსიფიკაციის მოთხოვნებს, უფრო მჭიდროდ დაკუკავშიროთ იგი სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნას. ყურადღებასა და მხარდაჭერას მოითხოვს ამ მიმართულებით გადადგმული ყოველი კონკრეტული ნაბიჯი.

საინტერესო გამოცდილება შეიძინეს, მაგალითად, სარანსკის „ელექტროგამმართველის“ ქარხანაში, სადაც შექმნილია საწარმოდან ბრიგადამდე გამჭოლი სამეურნეო მაჩვენებლების სისტემა. მორალური და მატერიალური სტიმულები ისეთნაირად არის მოფიქრებული, რომ თითოეულის ინტერესები მოხმარდეს კოლექტივისათვის საერთო მიზნების მიღწევას — სახელმეკრუ-

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲬᲘᲜᲐᲠᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲐᲛ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის შრომელებმა ღვიძლ საქმედ აღიქვეს პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე თავდადებული მუშაობით მტკიცედ იღვწიან საზოგადოებრივი დოვლათის გადიდებისათვის. საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ ჩვენს სახელმწიფოში ხალხის საკეთილდღეო კეთილსინდისიერი შრომა, სოციალისტური საკუთრების განმტკიცება სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების, თითოეული ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის მთავარი წყაროა, საზოგადოების ყველა წევრის კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა, მათი წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ქვეყანაში ვლინდება მუდმივი ზრუნვა პატიოსანი, მაღალნაყოფიერი, შრომის ავტორიტეტის გაზრდისათვის, სოციალიზმის ძირითადი პრინციპის: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“ განხორციელებისათვის, შრომისა და მომხმარების ოდენობისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

ამავე დროს არის ბევრი ფაქტი, როცა ადამიანები იღებენ უშრომელ შემოსავალს დატაცების, სპეკულაციის, მექრთამეობის, სხვაგვარი უკანონო საქმიანობის შედეგად. ზოგიერთი მათგანი გამორჩენის მიზნით იყენებს სახელმწიფოს კუთვნილ მანქანა-მექანიზმებს, სატრანსპორტო საშუალებებს, საცხოვრებელ ფართობს, სათბობს, ნედლეულს და მასალებს. ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სამედიცინო მომსახურების საწარმოებსა და დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ურიგდებიან მომსახურების გაწევისათვის დამატებითი საფასურის გამძიანეს, ნავაჭრის მითვისების, მოქალაქეთა მოტყუების, პროტექციონიზმის ფაქტებს. სამსახურებრივი მდგომარეობის „ანგარებითი მიზნით გამოყენების გზას ხშირად ადგენიან თანამდებობის პირები. მომხვეჭელობისადმი მისწრაფებას, ცხოვრებისადმი იოლ დამოკიდებულებას არ კიცხავენ ცალკეულ საბჭოთა ოჯახებში.

სოციალისტური ცხოვრების წესთან ასეთი შეუთავსებელი მახინჯი მოვლენები ეწინააღმდეგება შრომელთა ინტერესებს, იწვევს საბჭოთა მოქალაქეების სამართლიან აღშფოთებას. ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებისადმი თავიანთ მიმართვებში ისინი დაკიცხენი მოითხოვენ უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრის გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მთლიანად უჭერს მხარს ამ მოთხოვნებს და მიაჩნია, რომ პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდაცვითმა ორგანოებმა ძირეულად უნდა გაუმჯობესონ მუშაობა ანგარებითი გამოვლინებების აღმოსაფხვრელად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც სოციალიზმის ბუნებისათვის უცხო უშრომელი შემოსავლის აღმოფხვრა დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და აღმზრდელობითს ამოცანად მიაჩნია, წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და მინისტრთა საბჭოებს, სახალხო. დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებს აღმასკომებს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი. წარმართონ ეს მუშაობა აქტიურად და უკომპრომისოდ, ამასთან იღვაწონ, რათა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საქმიანობის ყველა სფეროში განხორციელდეს სრულიად საბჭოთა კანონები, სოციალისტური სამართლიანობის მოთხოვნები, მაგრად ჩაიკეტოს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ხარჯზე უკანონო გამდიდრების ყველა არხი და საძრომი. დარაზმონ პარტია და ხალხი ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ გადიდებული მოთხოვნის საქონლის წარმოების ზრდას, მოსახლეობისათვის სათადარიგო ნაწილების, საშენი მასალების, ბინის მოსაწყობი ნივთების, მეყიდველის გაფართოებას. უმოკლეს ვადებში შექმნან მატერიალური და ორგანიზაციული წინაშეძღერები მომსახურებაზე, უწინარეს ყოვლისა, ბინების, ავტომობილების, მოტოციკლების, ელექტრო, — ტელე, — რადიოაპარატურის და სხვა საოჯახო მანქანა მოწყობილობის შეკეთებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. გააუმჯობესონ ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოების, სასტუმროების, მომსახურების სფეროს სხვა საწარმოების მუშაობა, მრავალფეროვანი გახადონ მომსახურების სახეობანი და ფორმები. გაითვალისწინონ საამისო დამატებითი ღონისძიებანი მეთორმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმების პროექტებში, უფრო სრულად გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი და რეზერვები.

ოპერატიულად და საგნობრივად შეისწავლონ ცალკეული საქონლისა და მომსახურების წარმოქმნილი დეფიციტის, სასტუმროებში ადგილების მიცემაზე, ტრანსპორტის ბილეთების მიყიდვაზე უარის თქმის მიზეზები, განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებები, როცა დეფიციტი იქმნება ზოგიერთი მუშაკის ეგოცენტრიზმისა და უპასუხისმგებლობის მიზეზით, გადაჭრით აღკვეთონ ადამიანთა საქიროებებისადმი გულგრილობისა და უდარდელი დამოკიდებულების ყოველგვარი გამოვლინება.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მკაცრი წესრიგი უნდა დაამყარონ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაში, ნედლეულისა და მასალების ხარჯვაში, გადაკრთი აღმოფხვრან უკონტროლობის, უყაირათობისა და მფლანგველობის ყოველგვარი გამოვლინება, უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების სიმტკიცე დაცვა-შენახვა. უნდა სრულყონ შრომის ორგანიზაცია, ნორმირება და ანაზღაურება, იღვწონ, რათა პატიოსანი, კეთილსინდისიერი და მაღალხარისხოვანი შრომა ჯეროვნად ნაზღაურდებოდეს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიიჩნია გამოიყენონ საბჭოთა კანონებისა და საზოგადოებრივი აზრის მთელი ძალა ამ პირთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობენ. ზემოქმედებდის ღონისძიებათა გამოუყენებლად არ დატოვონ უშრომელი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული არც ერთი ფაქტი. ისე წარმართონ საქმე, რომ მექრთამეების, ხაზინის ქურდების, ხელმოდეთა და საზოგადოების ხარჯზე გამდიდრების სხვა მოყვარულთა მიმართ შექმნან საყოველთაო ზიზღის ატმოსფერო, რომ მათ იცოდნენ: არ ასცდებათ სასჯელი თავიანთი ქმედობისათვის. უფრო ფართოდ გამოიყენონ დეკლარაციების სისტემა, მოქალაქეთა შემოსავლის კანონიერებისადმი კონტროლის სხვა სახეობანი, მეტად დანერგონ პრაქტიკაში ჯერადი ოდენობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, გაზარდონ ქონებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი ანგარებითი დანაშაულებებისათვის, სრულყონ საგადასახადო პრაქტიკა. კონტროლი დაუწესონ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის გამოყენებას, მოაწესრიგონ ბინებთან დაკავშირებული გაცვლითი ოპერაციები. გაანტკიცონ საპასპორტო რეჟიმი ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. გააძლიერონ კონტროლი საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობისადმი, ამასთან მზედველობაში მიიღონ სპეციალურტი ელემენტებისა და გადამყიდველების საქმიანობის აღკვეთა. გაზარდონ საკომისიო ვაჭრობის მნიშვნელობა გადიდებული მოთხოვნის საქონლის ფართო გაყიდვის ორგანიზაციაში, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მათგან გამომუშავებული ნაწარმის შესყიდვასა და გაყიდვაში.

ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს საფინანსო ორგანოების, საუწყებო სარევიზიო-საკონტროლო სამსახურების, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა, გაიზარდოს მუშათა კონტროლის როლი და მნიშვნელობა. უფრო სრულად გამოიყენონ უშრომელი შემოსავლის აღკვეთის მიზნით შრომითი კოლექტივების უფლებები და შესაძლებლობანი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან გადიდონ ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს იმის. ნათელი გაგების ჩანერგვამ, რომ კეთილსინდისიერი შრომა თითოეული მოქალაქის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა და ღირსების საქმეა, რომ მხოლოდ შრომა განსაზღვრავს ადამიანის მდგომარეობას კოლექტივსა და საზოგადოებაში. პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი აწარმოონ აქტიური ბრძოლა შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის ყოველგვარი დარღვევის, წამგლეჯობისა და დამგროველობის გამოვლინებების წინააღმდეგ, საჯაროდ დაგმონ ისინი, ვინც ცდილობს სახელმწიფოს მისცეს ნაკლები, მისგან კი მიიღოს მეტი.

პროპაგანდისა და აგიტაციის, ორგანიზატორული, აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საშუალებით, ხაზგასმით არის აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ადამიანებს უნდა განვუმტკიცოთ ღრმა გაგება იმისა, რომ ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ არის ყველას და თითოეულის საქმე, არც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო განზე არ უნდა გაუდგეს მას. აუცილებელ სავიროებად მიიჩნიონ ხელმძღვანელი და სამეურნეო კადრები, მთელი მოსახლეობის ფართო სამართლებრივი აღზრდის ორგანიზაცია.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის სახკინოს, შემოქმედებითს კავშირებს რეკომენდაცია მიეცათ აქტიურად შეუწყონ ხელი ისეთი მხატვრული ნაწარმოებების, ფილმებისა და სპექტაკლების შექმნას, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს ჩამოუყალიბებს მაღალ ზნეობრივ თვისებებს, ჩაუნერგავს შრომის პატივისცემას, პატიოსნებას, საერთო სახალხო დოვლათისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას, მუქთახორობის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და კომუნისტური მორალის სხვა ანტიპოდებისადმი შეურიგებლობას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის პროკურატურას, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მიეცათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოაწყონ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ასპექტების გაღრმავებული შესწავლა, გაიფართოონ ამ საქმეში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი, საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ წინადადებანი ამ საკითხზე კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

სსრ კავშირის პროკურატურის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად დასახულია ამოცანა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მუქთახორების წინააღმდეგ. გადასაწყვეტ საკითხებზე შეიტანონ შესაბამისი წინადადებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კი შესაბამისი ბრძანებულება.

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲪᲐᲛᲔᲑᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲕᲘᲛᲐᲯᲝᲡᲚᲘ, ᲤᲐᲡᲘᲐᲜ ᲡᲐᲠᲬᲣᲚᲐᲠᲘ?

ᲕᲗᲘᲒᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲗᲘᲒᲝᲗ ᲒᲐᲚᲐᲮᲘ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ მკითხველებმა იცით, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საკავშმომპოვებელთა ბრიგადისათვის (რგოლისათვის) დააწესა ვიმპელი და ფასიანი სარწმუნო: ერთი — აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის, მეორე — დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის. უნდა საკვების დაგროვებისათვის და ჯილდოს მოპოვებისათვის გაცხოველებულ მუშაობას გვაცნობენ ეს ინფორმაციები.

ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲡᲘᲚᲔᲜᲐᲚᲘ. (საკ. კორ.) რაიონის მეცხოველეები და საკვებმომპოვებლები პირუტყვის საკვების შეგროვებას, ბალახის თიბვას კარგა ხანია შეუდგნენ. კოლმეურნეობანა და საწარმოო ბრიგადებს შორის „კომუნისტის“ ჯილდოს მოსაპოვებლად შეჯიბრება გაჩაღდა. და აი, პირველი სიტყვაც ამ საქმეში ვაქირეღმა საკვებმომპოვებლებმა თქვეს. საგეგმო 500-ის ნაცვლად უკვე 700 ტონა. მაღალხარისხოვანი სენაჟი დაამზადეს.

წარმატება თავისთავად არ მოსულა. მკლავმოუღლელი მექანიზატორები, ავტომძღოლები გ. აფთარაშვილი, ა. დემეტრაშვილი, ა. გელაშვილი, ა. მაზანაშვილი, გ. ქემამეული დღე-ღამეს ასწორებდნენ, რათა შეჯიბრებაში დაწინაურებულიყვნენ. მაგალითი ეჩვენებინათ სხვებისათვის.

ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ 300 ᲢᲝᲜᲐ ᲡᲔᲜᲐᲟᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. (საკ. კორ.). ამ ბოლო დროს ნალეკებმა ერთიანად გამოაცოცხლა ყანა და სათიბები. ახლა ბალახი ყოველდღე უხვად არის სათიბად. კოლმეურნეობათა ერთი ნაწილი უკვე შეუდგა პირუტყვის საკვების — სენაჟის დამზადებას. ყველაზე მეტი — 1.300 ტონა აქვს დამზადებული სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობას, 150 ტონა — წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას, 560 ტონა — სამთლოს შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობას, ხოლო 400 ტონა — სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას.

სულ რაიონში საგეგმო 30.000 ტონიდან 3.000 ტონამდე სენაჟია დამზადებული. უფრო მეტი რაოდენობით მოთიბულია მწვანე მასა.

26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო ბრიტანეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ლორდი უაიტლოუ. დელეგაციაში შედიან ყველა საპარლამენტო პარტიის წარმომადგენლები, მთ შორის ლეიბორისტული პარტიისა — „სათადარიგო“ საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ჰილი და სხვები.

უაიტლოუმ მ. ს. გორბაჩოვს გადასცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის პირადი წერილი.

გულახდილი და ყოველმხრივ საუბრის დროს მხარეებმა ჩამოაყალიბეს პოზიციები საერთაშორისო ვითარებისა და სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის ფართო წრის აქტუალურ პრობლემებზე.

საერთო იყო იმის გაგება, რომ საჭიროა შეაჩეროს გამალებული შეიარაღება, ეძებონ თანმიმდევრივ რთულ, მრავალფეროვან, წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში სხვა ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაწყვეტის ურთიერთმისაღები გზები. ამისათვის საჭიროა, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ახალი აზროვნება, რომელიც გაითვალისწინებს ბირთვულ-კოსმოსური საუკუნის რეალობას. საერთაშორისო უშიშროება არ შეიძლება აიგოს მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებითა და სხვათა უშიშროების ინტერესების უგულებელყოფით. ასეთი მიდგომის დროს ვერავითარი სერიოზული მოლაპარაკება ვერ გაიმართება.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ არსებობს დიდი შესაძლებლობანი, რათა დიდ ბრიტანეთთან განვითარდეს ნაყოფიერი პოლიტიკური დიალოგი, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობა, საპარლამენტო ხაზით ურთიერთობა, ადამიანთა კონტაქტები. იმედები, რომლებიც ამ თვალსაზრისით გაჩნდა წლინახევრის წინათ, ჯერ კიდევ ელიან ხორციშესხმას.

განიხილეს ბირთვული გამოცდების შეწყვეტის საკითხები, რომლებშიც დიდ ბრიტანეთს შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი. შეიძლებოდა ერთად გვეფიქრა საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის იმ ინიციატივის შესახებ, რომ განვაახლოთ 1980 წელს შეწყვეტილი სამთა მოლაპარაკება, მით უმეტეს, რომ მაშინ სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი საჭიროდ მიიჩნევდნენ, რომ უნდა აიკრძალოს ბირთვული იარაღის გამოცდები. გაიმართა აზრთა გაზიარება ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ. მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მკაცრი წესრიგი უნდა დაამყარონ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაში, ნედლეულისა და მასალების ხარჯვაში, გადაკრთი აღმოფხვრან უკონტროლობის, უყაირათობისა და მფლანგველობის ყოველგვარი გამოვლინება, უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების სიმტკიცე დაცვა-შენახვა. უნდა სრულყონ შრომის ორგანიზაცია, ნორმირება და ანაზღაურება, იღვწონ, რათა პატიოსანი, კეთილსინდისიერი და მაღალხარისხოვანი შრომა ჯეროვნად ნაზღაურდებოდეს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიიჩნია გამოიყენონ საბჭოთა კანონებისა და საზოგადოებრივი აზრის მთელი ძალა ამ პირთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობენ. ზემოქმედებდის ღონისძიებათა გამოუყენებლად არ დატოვონ უშრომელი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული არც ერთი ფაქტი. ისე წარმართონ საქმე, რომ მექრთამეების, ხაზინის ქურდების, ხელმოდეთა და საზოგადოების ხარჯზე გამდიდრების სხვა მოყვარულთა მიმართ შექმნან საყოველთაო ზიზღის ატმოსფერო, რომ მათ იცოდნენ: არ ასცდებათ სასჯელი თავიანთი ქმედობისათვის. უფრო ფართოდ გამოიყენონ დეკლარაციების სისტემა, მოქალაქეთა შემოსავლის კანონიერებისადმი კონტროლის სხვა სახეობანი, მეტად დანერგონ პრაქტიკაში ჯერადი ოდენობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, გაზარდონ ქონებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი ანგარებითი დანაშაულებებისათვის, სრულყონ საგადასახადო პრაქტიკა. კონტროლი დაუწესონ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის გამოყენებას, მოაწესრიგონ ბინებთან დაკავშირებული გაცვლითი ოპერაციები. გაანტკიცონ საპასპორტო რეჟიმი ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. გააძლიერონ კონტროლი საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობისადმი, ამასთან მზედველობაში მიიღონ სპეციალურტი ელემენტებისა და გადამყიდველების საქმიანობის აღკვეთა. გაზარდონ საკომისიო ვაჭრობის მნიშვნელობა გადიდებული მოთხოვნის საქონლის ფართო გაყიდვის ორგანიზაციაში, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მათგან გამომუშავებული ნაწარმის შესყიდვასა და გაყიდვაში.

ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს საფინანსო ორგანოების, საუწყებო სარევიზიო-საკონტროლო სამსახურების, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა, გაიზარდოს მუშათა კონტროლის როლი და მნიშვნელობა. უფრო სრულად გამოიყენონ უშრომელი შემოსავლის აღკვეთის მიზნით შრომითი კოლექტივების უფლებები და შესაძლებლობანი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან გადიდონ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲡ

ᲗᲕᲐᲚᲘᲡწინებითა და სხვათა უშიროების ინტერესების უგულებელყოფით. ასეთი მიდგომის დროს ვერავითარი სერიოზული მოლ

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი და სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაავალა გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანგარებითი დანაშაულობების წინააღმდეგ, რომლებიც უშრომელი შემოსავლის წყაროა. მუდმივი ყურადღება დაუთმონ ამ დანაშაულობათა ჩადენის ხელშეწყობი პირობების სიფუძვლიან შესწავლასა და აღმოფხვრას. შეიმუშაონ და განახორციელონ სოციალისტური საკუთრების სრული დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ეფექტიანი ღონისძიებანი, ამასთან გაზარდონ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა წესრიგის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააძლიერონ ბრძოლა მფლანგველობისა და დანაკარგების წინააღმდეგ, უზრუნველყონ უმკაცრესი მომჭირნეობა მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების გამოყენებაში; მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ პირველადი აღრიცხვა და სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და სახელმწიფო დისციპლინის უზრუნველყოფისადმი კონტროლის ყველა ფორმა; დროულად შეიმუშაონ და დანერგონ მატერიალური და შრომითი დანახარჯების, მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებული ნორმები.

უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარება „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 25 სექტემბრის № 915 დადგენილების შესაბამისად; გამონახონ რეზერვები და დამატებითი შესაძლებლობანი, რათა გაზარდონ წარმოებისა და მომსახურების გაწევის მოცულობა, გაუუმჯობესონ მათი ხარისხი, ოპერატიულად აღმოფხვრან ცალკეული საქონლისა და მომსახურების წარმოქმნილი დეფიციტი.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით განიხილოს და გადაწყვიტოს იმ მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიების ნუსხის გაფართოების საკითხი, რომლებთანაც შეიძლება დაიღოს ხელშეკრულებანი სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

გთვალისწინებულია გააფართოონ იმ საქონლისა და პროდუქციის წრე, რომლებზეც იყენებენ საცალო ფასების ჯერადი ოდენობით ზარალის ზღვევნების წესს მათი დატაცების, განზრახ გაფუჭების, დანაკლისისა თუ დაკარგვის შემთხვევაში; ცვლილებები შეიტანონ მატერიალურ ფასეულობათა და დანაკარგების ჩამოწერის მოქმედ წესში, ამასთან გაძლიერონ კონტროლი ჩამოწერის საფუძვლიანობისა და ბრალეულებისათვის ზარალის ზღვევნებისადმი, აგრეთვე გაზარდონ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა აღნიშნული წესის დარღვევისათვის.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ განახორციელონ თვალის ახვევისა და წამატებების აღკვეთის დამატებითი ღონისძიებანი. მიაღწიონ იმ ზარალის სრულ ზღვევნებას, რომელიც სახელმწიფოს მიადგა პრემიებისა და სხვა ჯილდოების უკანონო გაცემით, აგრეთვე მატერიალური წახალისების ფონდსა და გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სხვა ანალოგიურ ფონდებში სახსრების გადარიცხვით, სხვა დადგენილ ღონისძიებათა გამოყენების მიუხედავად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ვალდებული არიან განავითარონ და წაახალისონ მოსახლეობის მიერ პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული ნამეტი ხორცის, რძის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის მიყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციული დამამზადებელი ორგანიზაციებისადმი ამ პროდუქციის წარმოების ადგილებში; განიხილონ საკითხი მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში პროდუქტიული პირუტყვის რაოდენობისა და სახეობების ცალკეული შეზღუდვების გაუქმების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დაახუსტონ პირუტყვის შენახვის ზღვრული ნორმები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. გააძლიერონ კონტროლი მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვის შენახვის დადგენილი ნორმებისა და წესის მკაცრი დაცვისადმი, დაუსონ პასუხისმგებლობა მათი დარღვევებისათვის იმ შემთხვევებში, როცა იგი არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

დადგენილია, რომ ხუთი ათას მანეთზე მეტი ოდენობის გარიგებით ანგარიშსწორება, რომელიც წარმოებს მოქალაქეებსა და საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს შორის, ხდება სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებების ან სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მეშვეობით სახსრების უნაღდო გადარიცხვის გზით. მოქალაქენი, რომლებიც დებენ ათი ათას მანეთზე მეტი თანხის გარიგებებს, აგრეთვე აშენებენ ოცი ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების საცხოვრებელ სახლს (გვარაჟს), ვალდებული არიან საფინანსო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია შესაბამისი სახსრების მიღების წყაროდების შესახებ. მოქალაქენი მოვალენი არიან საფინანსო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია სახსრების მიღების წყაროების შესახებ, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა თუ პროკურორის მოთხოვნით.

ROGORC სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის პარტია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალურ დაჩქარებას. აქედან გამომდინარე გასაგებია, რა განუზომლად იზრდება ენერგეტიკის როლი.

თბოენერგეტიკული კომპლექსის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებების შერჩევაზე.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ქვეყნის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ორგანიზაციაა. დღიდან დაარსებისა მისი კოლექტივის ყურადღების ცენტრშია სამრეწველო, სამოქალაქო, ჰიდროტექნიკური მშენებლობისა და ენერგოსისტემების ექსპლოატაციის აქტუალური პრობლემები. მიღწევები ამ მხრივ საგულისხმოა. სწორედ ამ ინსტიტუტში ჩაეყარა საფუძველი წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციების, მსუბუქი ბეტონისა და რკინაბეტონის ტექნოლოგიის, გადახურვის ღრუტანიანი ფილების შემუშავებასა და დანერგვას. აქ შეიქმნა ვიბრაციული და ცენტრიფუგირებული ბეტონისაგან დამზადებული ელექტროგადამცემი ხაზების ანძები და სხვა.

უკანასკნელ ხანს მაზუთის ინტენსიური გამოყენების შედეგად სამკერდ და მეტად შემცირდა ქვანახშირის ხვედრითი წილი რესპუბლიკის სათბობის ბალანსში, რამაც ხელი შეუწყო ენერგოდანადგარების ტექნიკური მონაცემების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, მავნე ნივთიერების გამოყოფის შემცირებას. მეთერთმეტე ხუთწლედში ენგურჰესისა და ვა-

ამომრჩეველთა განაწესით

ამომრჩეველთა განაწესით მარტო განვლილ ხუთწლედში ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში აშენდა სავაჭრო ცენტრი, სბავშვო ბაგა-ბაღი, საშუალო სკოლა, სპორტდარბაზი, აფთიაქი, კაპიტალურად შეკეთდა კულტურის სახლი, რომელსაც ხუთასი მაყურებლისათვის გათვალისწინებული დარბაზი აქვს. 12 ხიდმა ავტობუსის მარშრუტებით დაუკავშირა ერთმანეთს სოფლის შორეული უბნები, 12 კილომეტრი სოფლის გზა მოასფალტებულია. ორას სახლში გაყვანილია ტელეფონი, რომელმაც ნარაზენის მცხოვრებლები რაიონის ცენტრს ზუგდიდს დაუკავშირა. სოფელი დაამშვენეს ლამპიონებმა, სკვერებმა, ორმოდან შინმოუსვლელი ნარაზენელების ხსოვნის აღსანიშნავმა სტენდებმა.

სურათებზე: სოფლსაბჭოს დეპუტატები — კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ლომაია და პარტიული კომიტეტის მდივანი მანანა თოდუა განიხილავენ ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს; ახალშეუღლებულებს მარეხ ანთიას, ლიანა წულეისკირს და ძმებს — კოლმეურნეობის მექანიზატორებს ემზარ და თემურ თოდუებს ულოცავენ სოფლის საბჭოს დეპუტატები — კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი მანანა თოდუა და საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ბორის ბიგვავა; კოლმეურნეობის ამბულატორის მედდა ნაზი გერსამია კოლმეურნე ციალა თოდუას ბავშვის პროფილაქტიკური შემოწმების დროს; ნარაზენის ახალ სავაჭრო ცენტრში ექვნი ხეკვია, რომლებშიც სხვა-დასხვა საქონლის დიდი არჩევანია;

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული

დაპატენტებული განვითარებულ ქვეყნებში

ჰიდროელექტროსადგურების ლოგის უზრუტი რეზერვები

ვეგი

[illegible] ... ენერგეტიკის, სახელმწიფო [illegible] ... ცხადია, ახლა ამ კვლევის შედეგებიც ხელმძღვანელობს.

საირიგაციო ნაგებობათა ენერგეტიკული დანიშნულებით გამოყენება ელექტროენერგიის დამატებითი გამომუშავების კარგი რეზერვია და ინსტიტუტის კოლექტივის მუშაობა ამ მხრივაც საგულისხმოა. შესწავლილი და დაგენილია მდინარეების ლაკაბიას, პატარა ლიახვის, ალგეთის, დალის მთისა და ზემო ალაზნის საწყავი სისტემის შესაძლებლობანი. მათი გამოყენების შედეგად, თურმე, მინიმალური დანახარჯებითა და საირიგაციო გრაფიკის დაცვით შეიძლება 100 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ენერგიის გამომუშავება. ელექტროენერგიის დამატებით გამომუშავების შესაძლებლობები მოქმედ ჰიდროელექტროსადგურებშიც დადგენდა (წყალუხვიანობის პერიოდში 200 მილიონი კილოვატსაათი წელიწადში).

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, როგორც ცნობილია, მომეჩინრობას ეფუძნება. ამიტომ მასალების, ნედლეულის ეკონომიასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. დიდძალ ორგანულ საწვავს დაზოგავს, მაგალითად, გეოთერმული წყაროების გამოყენება. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა გამოანგარიშებით, რესპუბლიკაში არსებული და პერსპექტიული წყლების გამოყენებით ხუთწლედის დასასრულისათვის პირობითი სათბობის ეკონომიამ 250 ათას ტონას უნდა მიაღწიოს.

ფრიად საყურადღებოა ინსტიტუტის სხვადასხვა განყოფილებაში დამუშავებული ენერგეტიკული ობიექტებისა და მათი კვლევნების ახალი კონსტრუქციები, მათ შესაქმნელად საჭირო ახალი მასალები. მოდელურად გამოიცა და სრულიად ახალი კონსტრუქციის თაღოვანი კაშხალი, რომელიც აწყობილია ღრუ კოლოფისებრივი ბლოკებში. ასაწყობი კონსტრუქციების გამოყენება ათავისუფლებს თერმორეგულირებისათვის გათვალისწინებულ ნარჯებს, ამცირებს ბეტონის მოცულობას და ამჯიდროებს მშენებლობის ვადებს. წარმატებით გამოიცადა აგრეთვე ინსტიტუტში შექმნილი ანაკრები რკინაბეტონის ელემენტებიანი ორგინალური კოშკური კონსტრუქცია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი დაპატენტებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იაპონიაში.

ყველამ იცის, რომ ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი და მისი სადაწნეო გვირაბი უნიკალურია. სწორედ ეს ფაქტი გახდა წინამძღვარი, რომ შემუშავებულიყო ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოების ხარისხის მაღალკვალიფიციური კონტროლის სრულიად ახალი ფორმა. კონტროლი კი სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრომ ექსპერიმენტის სახით სწორედ ამ ინსტიტუტს დაავალა. ექსპერიმენტის შედეგი ის გახლავთ, რომ მას დიდი მოწონება ხვდა წილად და ენგურჰესის კაშხალის ბეტონს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეხვა.

ძნელია ერთ საგაზეთო წერილში ჩამოთვალო ყველაფერი ის, რაც საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შემოქმედებითმა, შრომისმოყვარე კოლექტივმა შექმნა.

საერთოდ, ინსტიტუტის კოლექტივის მოღვაწეობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მისი მჭიდრო კავშირი საპროექტო, სამშენებლო და ენერგოსისტემის ექსპლოატაციის ორგანიზაციებთან. ინსტიტუტი დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე მუშაობს, უზრუნველყოფს მის თანამშრომელთა მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების აბსოლუტური უმეტესობის დანერგვასა და ხელშესახებ ეკონომიკურ ეფექტს. ყველაფერი ეს ლიტონი სტყვები როდია. დახარჯულ მანეთზე სამმაგია უკუგება.

არსებული ელექტროსადგურების სიმძლავრეთა რაციონალური გამოყენებასა და ენერგიის მომჭირნე ხარჯვასთან დაკავშირებული ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებები უნდა შეიმუშაოს ინსტიტუტის კოლექტივმა მომდინარე ხუთწლედში.

ეჭვი არ არის, რომ ინსტიტუტის კოლექტივი, რომლის ნამუშევრებიც არაერთხელ დაჯილდოვდა საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე და რომელიც სისტემატურად იმარჯვებს ქვეყნის მონათესავე სამეცნიერო დაწესებულებებთან გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, უფრო განამტკიცებს მოღწევებს.

შ. ამაშუკელი.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ ● „კომუნისტს“ უპასუხეგენ

კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის

ჩვენი გაზეთის მოწინავე სტატიაში „კომკავშირს — სისტემატური პარტიული ხელმძღვანელობა“ სხვებთან ერთად გაკრიტიკებული იყო პარტიის მცხეთის რაიკომი, რომელიც სათანადოდ არ ზრუნავდა კომკავშირში პარტიული ბირთვის ზრდისათვის. ამის გამო პარტიის მცხეთის რაიკომი რედაქციას სწერს:

ჩვენი მისამართით გამოთქმული კრიტიკა სწორია. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, პარტიის რაიკომმა შეიმუშავა ღონისძიებათა სპეციალური გეგმა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მათში პარტიული ბირთვის განმტკიცებას, ხელმძღვანელ არჩევითს კომკავშირულ სამუშაოებზე ენერგიული, მცოდნე ახალგაზრდა კომუნისტების დაწინაურებას.

შარშან სკკპ წევრობის კანდიდატად მიღებულთა 77,7 პროცენტი კომკავშირელია (1984 წელს 75 პროცენტი იყო), პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებად არჩეულია 28 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი. პარტიის რაიკომი სისტემატურად გააკონტროლებს ამ მხრივ საქმის მდგომარეობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებანი:

დაწესდა, რომ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, მანქანების ან მექანიზმების ანგარების მიზნით თვითნებური გამოყენებისათვის მოქალაქეები ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდებიან ას მანეთამდე ოდენობით და თანამდებობის პირები — ორას მანეთამდე ოდენობით, სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები კი დაჯარიმდებიან ას მანეთამდე ოდენობით ან ჩამოერთმევათ ტრანსპორტის მართვის უფლება ერთ წლამდე ვადით, ქონებრივი ზარალის ანაზღაურებით.

კუსტარულ-ხელოვნური რეწვის, სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ან საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი სხვა შემოსავლის შესახებ და სხვა იმ შემთხვევებში დეკლარაციის შეტანისათვის თავის არიდება, როცა დეკლარაციის შეტანა გათვალისწინებულია კანონმდებლობით, ანდა დეკლარაციის არადროული შეტანა ან მასში შეგნებულად დამახინჯებული მონაცემების მოყვანა იწვევს ადმინისტრაციული სასჯელის დადებას გაფრთხილების ან ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ოდენობით ჯარიმის სახით.

ასეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები. ოქმებს ადგენენ საფინანსო ორგანოების საამბოხოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები ან მილიციის მუშაკები.

ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ ჩადენილი იგივე ქმედობა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან ჯარიმით ორასიდან ათას მანეთამდე.

კუსტარულ-ხელოსნური რეწვისა და სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციული წესით ჯარიმის დადებას ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ოდენობით, დამზადებული პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციით ან.

კუსტარულ-ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, ისჯება ადმინისტრაციული წესით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით, დამზადებული პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციით.

კუსტარულ-ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, თუ იგი ჩადენილია ასეთი დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან ორასიდან ათას მანეთამდე ჯარიმით, დამზადებული პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციით.

კუსტარულ-ხელოსნური რეწვა ან სხვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელთა მიმართ არსებობს სპეციალური აკრძალვა, ჩადენილი დიდი ოდენობით ან დაქირავებული შრომის გამოყენებით, ასევე იმ პირის მიერ, რომელიც წინათ ნასამართლევი იყო აკრძალულ სახეობათა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით.

სახელმწიფო ან კოოპერაციულ მაღაზიებში გამომცხვარი პურის, ფქვილის, ბურღულისა და სხვა სასურსათო პროდუქტების ყიდვა პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველისათვის მაღაზიებში ნაყიდი გამომცხვარი პურის, ფქვილის, ბურღულისა და სხვა სასურსათო პროდუქტების ქმევა ისჯება ადმინისტრაციული წესით ორმოცდაათიდან ას მანეთამდე ჯარიმის სახით.

ასეთივე დარღვევებისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის შემდეგ სისტემატურად ან დიდი ოდენობით ჩადენილი ამგვარივე ქმედობა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისგებას და ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან ასიდან ხუთას მანეთამდე ჯარიმით.

სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

„მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 20 თებერვლის ბრძანებულების პირველი მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგი. რედაქციით:

თანამდებობის პირის მიერ პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის აღება, რა სახითაც უნდა იყოს იგი, — ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის, ამა თუ იმ ქმედობის შესრულებისა ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის წინასწარი შეთანხმებით, ან არაერთხელ, ან რასაც თან სდევდა ქრთამის გამოძალვა, ან დიდი ოდენობით ქრთამის აღება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს, ან ადრე ნამყოფია სამართლში მექრთამეობისათვის, ან ისეთი პირის მიერ, რომელმაც აიღო ქრთამი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ვადით, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ვადით ან გადასახლების გარეშე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ისჯება სიკვდილით და ქონების კონფისკაციით.

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 3 დეკემბრის ბრძანებულების 1-ლი და 3-2 მუხლები ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

1. დაწესდეს, რომ პირი, რომელმაც ჩაიდინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცება, თუ მისი ქმედობა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ადმინისტრაციული წესით ჯარიმდება ოციდან ორას მანეთამდე ოდენობით, ან ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ თვემდე ვადით, ამასთან ეკავება ხელფასის ოცი პროცენტი ან მის მიმართ გამოყენებული იქნება საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი, ქონებრივი ზარალის ანაზღაურებით.

2. პირებს, რომლებმაც დაიტაცეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემასთან ან მათ მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებასთან ერთად, არ მიეცემათ პრემიები იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც დააწესებს ადმინისტრაცია შრომითს კოლექტივთან ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირულ კომიტეტთან (პროფკავშირულ ბიუროსთან), მის სტრუქტურულ ქვეგანაყოფთან ან ბრიგადის საბჭოსთან შეთანხმებით. მათ აგრეთვე არ მიეცემათ ჯილდო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, დასასვენებელი სახლების ან სანატორიუმების შეღავათიანი საგზურები; მათ შეიძლება შრომითი კოლექტივის წინადადებით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით დადაუტანოს ბინის მიღების რიგი.

შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც ეხება უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის [illegible] ... ბრძანებულებას, შეტანილია სსრ კავშირის ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტშიც.

ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებული იქნება 1986 წლის 1 ივლისიდან.

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაევალათ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ ამ ბრძანებულებას.

მიღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

27 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მიიღო იაპონიაში მცხოვრებ კორეელთა გენერალური ასოციაციის დელეგაცია, რომელსაც ასოციაციის ცენტრალური მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ხან დოკ სუ მეთაურობს. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში იმყოფება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებათა ცავშირის მოწვევით.

პ. გ. გილაშვილი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და უამბო მათ საბჭოთა საქართველოს მიღწევების შესახებ ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა დარგში, ესაუბრა იმაზე, თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს. სტუმრებს გააცნეს აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ინტეგრაციული ურთიერთობა, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმიანობა, მისი მუდმივი კომისიების მუშაობა.

ხან დოკ სუმ მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის. მან საქართველოს მშრომელებს უსურვა წარმატებები სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ პროგრამათა რეალიზაციაში.

საუბარში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ნ. ტარასოვი, რომელიც დელეგაციას ახლავს ქვეყანაში მოგზაურობისას. (საქინფორმი).

პარტნიორთა ახალი შეხვედრა

„თბილისი და საარბრიუკენი, რომელთა ურთიერთობის ისტორია ათ წელზე მეტი ხნისაა, პარტნიორული ურთიერთკავშირის ტრადიციების ერთგულნი არიან. ეს ურთიერთობა ხელს უწყობს ჩვენი ხალხების ნდობის განმტკიცებას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აღმოსავლეთისა და დასავლეთის „დიალოგში“, — ამ სიტყვებით მიესალმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. შ. მესხიშვილი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსულ საარბრიუკენის დელეგაციას, რომელსაც ობერბურგომისტრი ჰანს-იურგენ კიობნიკი მეთაურობს.

თბილისის საზოგადოებრიობის შეხვედრა დელეგაციასთან მოეწყო სადღესასწაულო სასახლეში. აქ გამოსულისას ჰანს-იურგენ კიობნიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ათასობით კილომეტრი მანძილის მიუხედავად, თბილისელებსა და საარბრიუკენელებს ნამდვილად ახლობლური, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ. პარტნიორი ქალაქების კონტაქტების სფერო ნიადაგ ფართოვდება. იგი შეეხო კულტურის, მეცნიერების, ახალგაზრდობის გაცვლის დარგებს.

საარბრიუკენის დელეგაცია ეწვია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. საუბრის დროს აქ ითქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დამოყვრებული ქალაქების მოძრაობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მას საგრძნობი წვლილი შეაქვს პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცებაში, საფუძველს უქმნის ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთობისა და ურთიერთგაგების მომავალ ნორმებს, განამტკიცებს ადამიანთა ბედნიერი მომავლის იმედებს. სტუმრებს გააცნეს საქართველოს დედაქალაქის ისტორია და დღევანდელობა. მათ მიიღეს პასუხი საქალაქო მეურნეობის სამსახურების მუშაობის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქმიანობის საინტერესო საკითხებზე.

საარბრიუკენელმა სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ეწვივნენ საწარმოო გაერთიანება „თბილისრძეს“, იყვნენ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში.

(საქინფორმი).

2 კომუნისტი

● 28 მაისი, 1986 წ. ●

ინფორმაციები
ფაქტებში • მოვლენებში

საპატიო ფაბრიკის მისამართია

115-ე სკოლა

საქსოვ დაზგასთან მიმდინარეობს თბილისის №115 საშუალო სკოლის უფროსკლასელი გოგონების მეცადინეობა. ცოდნის დღე აქ გახდა მინიფაბრიკა „იმედის“ მუშაობის დაწყების თარიღიც. ფაბრიკის შექმნაში სკოლას დაეხმარა საბაჭოს საწარმო — თბილისის კამვოლ-სართავი ფაბრიკა. მას საამქროებში გოგონები საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ რვა წლის მანძილზე, რაც სკოლა დასრულებამდე. თუმცა კამვოლ-სართავი ფაბრიკა სკოლისაგან არცერთ ისე შორს არის განლაგებული, აქეთ-იქით სიარულს დიდი დრო მიჰქონდა. გამოიანგარიშეს, რომ საკუთარი წარმოების შექმნა უფრო ხელსაყრელი იყო, მით უმეტეს, რომ იგი კიდევ ხუთი ახალმოდგარე სკოლის მოსწავლეთა მეცადინეობის ბაზა გახდებოდა.

შეფებმა ისე მოაწყვეს სათავსები, რომ დაზგების ხმაური ხელს არ უშლის მეცადინეობას კლასებში, არის დასვენების ადგილი. გამოყოფილია თანამედროვე მოწყობილობა. იმასაც კი არ შეუშინდნენ, რომ გოგონებისათვის, ძვირად ღირებული იმპორტული ტექნიკა მიეხლოთო, ზაფხულის პრაქტიკის დროს მათ ცხადყვეს თავიანთი შესაძლებლობანი.

გოგონები ხალისით, უნარიანად მუშაობენ, დროულად აბამენ ერთმანეთს გაწყვეტილ ძაფებს. დამხმარე სათავსში მატულობს შეფუთული მზა პროდუქცია — სხვადასხვაფერი შალის ძაფს აკურატული გორგლები. მოსწავლეები გაიწაფნენ სპეციალური ოპერაციების, ისევე როგორც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაში. „იმედში“ ყველა თანამდებობა მოსწავლეთა შორის არის განაწილებული. დირექტორი, მთავარი ინჟინერი, ბრიგადირები გამოცდილებას იძენენ უფროსი კოლეგებისაგან, ფაბრიკაში. საბოლოო კანდიდატურები საწარმოს ხელმძღვანელებთან ერთად დაამტკიცეს ჰკლსაბჭოზე.

— ეკა კოპაძე ერთსულოვნად აირჩიეთ დირექტორად, ცოცხალი გოგონაა, — თქვა სკოლის დირექტორმა ი. ბენდელიანმა. — უყვარს მუშაობა და სხვებსაც იყოლიებს. მთავარი ბუღალტრის კანდიდატურა მათემატიკის მასწავლებელმა დაასახელა. მის საგანში უფროსკლასელთაგან ყველაზე ძლიერი ხალუნა ჯგუფია...

სასკოლო ფაბრიკაში ეწყობა თეორიული მეცადინეობაც — სპეციალობებში, სამრეწველო წარმოების საფუძვლებსა და ტექნიკის უსაფრთხოებაში. მომავალი წლიდან ცხრილში შეიტანენ საქმიან თამაშობებსაც, რომლებსაც თბილისის უნივერსიტეტის სპეციალისტები გაუძღვებიან.

— ამგვარი წარმოების შექმნა, — თქვა ფაბრიკის დირექტორმა გ. ქოიავამ, — შეესაბამება სკოლის რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას ჩავუნერგოთ ბავშვებს შრომის სიყვარული, დავეხმაროთ პროფესიის შეგნებულ არჩევაში. ეს საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ კადრების დეფიციტის პრობლემაც.

იმათ შორის, ვინც უკვე ამ ზაფხულს მოვა საწარმოში სამუშაოდ, არის მეათეკლასელი ლალი მღებრიშვილი, სხვათა შორის, სკოლას სამების გარეშე ამთავრებს. ფაბრიკაში მუშაობას აპირებენ მისი კოლეგებიც, მეცხრეკლასელები მზია გოგოტიშვილი და თოიქმის მთელი მისი კლასი. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატებთან ერთად გოგონები იღებენ აგრეთვე მოწმობებს მუშური კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. ამ ზაფხულს ასეთ მოწმობებს მიიღებს 232 კურსდამთავრებული.

ზ. საფრაზიანი.

სამშობლოს გუშაგების პატივსაცემად



26 მაისს თბილისის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების 68 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საზღვრის მეომრები, ომისა და სასაზღვრო ჯარის ვეტერანები.

საბჭოთა სასაზღვრო ჯარების სახელოვანი ისტორიისა და სამშობლოს სამხრეთის საზღვრების გუშაგების დღევანდელ მხედრულ საქმეებზე მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის შტაბის უფროსმა კ. კ. პლეშკომ.

კრების შემდეგ გაიმართა საზეიმო კონცერტი.

(საქინფორმი).

მაგალითი სხვა ხალხებისათვის

ეგვიპტეში გამოიცა სკკპ XXVII ყრილობის მასალები

კაირო. ეგვიპტის გამომცემლობა „ალ-მაუკიფ ალ-არაბიმ“ არაბულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოუშვა სკკპ XXVII ყრილობის მასალების კრებული.

თავისი გრანთარების მანძილზე, ნათქვამია კრებულის წინასიტყვაობაში, საბჭოთა საზოგადოებამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ დარგებში. სხვა ხალხებისათვის მაგალითია სსრ კავშირში აღმშენებლობითი პროცესების შედეგები. საბჭოთა ადამიანებმა კაცობრიობას გზა გაუკვალეს კოსმოსში და, მიაღწიეს რა დედამიწაზე სამხედრო-სტრატეგიულ წონასწორობას, ჩაფუშეს იმპერიალიზმის ძალთა აგრესიული ზრახვები, საბჭოთა კავშირის ავანგარდული როლის, საშინაო და საგარეო-პოლიტიკურ დარგებში მისი მიღწევების მეოხებით განმტკიცდა სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციები, შეიქმნა დედამიწაზე მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების დამყარების საშუალება.

სკკპ XXVII ყრილობამ, ნათქვამია წინასიტყვაობაში, გვიჩვენა საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს სხვა ხალხებისათვის ნათელი მომავლის მშენებლობის რეალური პერსპექტივა. სსრ კავშირის კომუნისტთა ფორუმმა გვიჩვენა, თუ როგორ ზრუნავს პარტია საბჭოთა კავშირის მშრომელთა ინტერესებისათვის, დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს განვითარებად ქვეყნებს მსოფლიო იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ მათ ბრძოლაში. ყრილობის იდეები, რომლებიც ხორცშესხმულია მასზე მიღებულ მასალებში, გახდება მომავალ ეტაპზე საბჭოთა ხალხის მთელი საქმიანობის გენერალური ხაზი.

● ნიკარაგუა

დ. ორტეგას განცხადება

მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა მეთაურების გვატემალის შეხვედრას. მანაგუაში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ნიკარაგუის ხელმძღვანელმა თქვა, რომ ესკიპულასის ფორუმმა გამოავლინა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების მისწრაფება მშვიდობიანად მოაწესრიგონ აფეთქებასაშიში კრიზისი რეგიონში, რომელიც პროვოკაციულად გამოიწვია შეერთებული შტატების აგრესიულმა, ტერორისტულმა აქციებმა.

ნიკარაგუის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის დელეგაციამ ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა განსახილველად წარადგინა კონკრეტული წინადადებანი კონტადორული ჯგუფის „მშვიდობის აქტის“ პროექტის სადაო საკითხებზე. მან იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება.

● ისრაელ-ინგლისი

„რკინის ლედის“ ვიზიტი

დამასკო. ისრაელში გრძელდება ინგლისის პრემიერ-მინისტრის ტეტჩერის ვიზიტი — ბრიტანეთის კაბინეტის მეთაურის პირველი ოფიციალური მოგზაურობა ამ სახელმწიფოში მას შემდეგ, რაც იგი შეიქმნა 1948 წელს.

ფართო რეკლამირებული ვიზიტი, რომელშაც, ინგლისის ოფიციალურ პირთა თქმით, მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების საქმეში, შემოიფარგლა დასავლეთისა და ისრაელის კავშირის შემდგომი განმტკიცების გზების ძიებით.

კნესეტში გამოსვლისას ტეტჩერი ფაქტობრივად დასჯერდა ისრაელის პოლიტიკის ქება-დიდებას. შეეხო რა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პროექტებს, პრემიერ-მინისტრი კვლავ რეკლამას უწევდა სეპარატიულ გარიგებათა კურსს, რომელიც რეიგანს სურს თავს მოახვიოს შეერთებულ შტატებს და ორმხრივ ფრონტზე ეს კამპანია და ვის ამბობს არაბულ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა, ვინაიდან აგრესორთან ამერიკისა და ისრაელის პირობებით დაზავება ფაქტობრივად ამკვიდრებს არაბული მიწების ოკუპაციას და არ ეწყვეტს პალესტინის არაბი ხალხისათვის უფლებების მინიჭების საკითხს — ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ძირეულ პრობლემას.

პარიზი. ისრაელში „რკინის ლედის“ ვიზიტი შორს სცილდება მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს, აღნიშნავს ფრანგული გაზეთი „მატენი“. თუმცა მ. ტეტჩერი ცდილობს აქტიურად ჩაევლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების ძიების პროცესში, მისი შესაძლებლობანი აქ მეტად შეზღუდულია. არავისათვის არ არის საიდუმლო ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც უპირობოდ დაუჭირა მხარი ამერიკის მიერ ლიბიის ქალაქების დაბომბვას, ლონდონმა მნიშვნელოვანწილად დაკარგა ამ რეგიონის სახელმწიფოთა ნდობა.

● აშშ

გიგანტური მანიფესტაცია

მილიონობით უსახლკაროთა, დამშეულთა და ღარიბთა დასაცავად

ვაშინგტონი. კვირას, დღის სამ საათზე რამდენიმე ათასი კილომეტრი სიგრძის ადამიანთა ჯაჭვი გადაიჭიმა მთელ ამერიკაში, ატლანტის ოკეანიდან წყნარი ოკეანის სანაპირომდე, ლოს-ანჟელესიდან ნიუ-იორკამდე, თექვსმეტი შტატის 500 ქალაქში.

„ერთმანეთის მხარდამხარ მთელი ამერიკის გავლით“ — ამ გიგანტური მანიფესტაციის ორგანიზატორებმა ყურადღება მიაპყრეს შეერთებული შტატების ერთ-ერთ უმწვავეს სოციალურ პრობლემას — უსახლკაროთა, დამშეულთა და ღატაკთა რიცხვის ნიადაგ ზრდას და აპირებენ შეკრიბონ სახსრები, რათა დახმარება აღმოუჩინონ იმათ, ვინც უბადაღებულ „თანაბარ შესაძლებლობათა საზოგადოებაში“ „ზედმეტი ადამიანების“ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ასეთი ადამიანები კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცოტა როდია. მანიფესტაციის ორგანიზატორთა შეფასებით, სულ ცოტა 20 მილიონი ამერიკელი გამუდმებით შიმშილობს. ქალაქების ქუჩებში მილიონობით უსახლკარო დაეხეტება და ამაოდ დაეძებს თუნდაც დროებით თავშესაფარს. მართო ამერიკის დედაქალაქში მათი რიცხვი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაცემებით, 10 ათასს აღემატება.

● ლიბანი

შფოთიანი ვითარება

ბეირუთი. ისრაელი დამპყრობლებისა და მარონიტული „სამხრეთ ლიბანის არმიის“ არტილერამ ძლიერი ცეცხლი დაუშინა დასახლებულ პუნქტებს, რომლებიც ეგრეთ წოდებული „უშიშროების ზონის“ ფარგლებს გარეთ მდებარეობენ. ეს ზონა ინტერვენტებმა უკანონოდ შექმნეს სამხრეთ ლიბანში.

სოფლებში იატერში, ჰარისსა და „კაფრაში მოკლული და დაჭრილია დაახლოებით 10 კაცი. დამსჯელებმა ჩხრეკა-დაპატიმრება მოაწყვეს დაბებში შებაასა და ჰაბარიაში, სოფელ მარუნრასში. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს ოკუპანტებმა და მათმა დაქირავებულებმა ჰასბაიის შემოგარენს, კერძოდ, სოფლებს მიმასს, აინტანტას და ჰალვათს. ისრაელთან თვითმფრინავები კვლავ გამოჩნდნენ ლიბანის დედაქალაქის თავზე და საშუალო სიმაღლეზე არღვევდნენ ბგერით ბარიერს. დროდადრო ხდება შეტაკებანი ლიბანელთა ურთიერთმოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის. მაგალითად, 25 მაისს გააფორებული სროლა ატყდა მთიან ლიბანში, აგრეთვე სადემარკაციო ხაზზე, რომელიც გადის ბეირუთის სამხრეთ გარეუბნებზე.

26 მაისს დილით აღმოსავლეთ ბეირუთის დაურას რაიონში აფეთქება მოხდა. რამდენიმე კაცი დაიჭრა. პატრიოტული პრესა ამ აქტებს, რომელთა ასპარეზად იქცა ბოლო ხანს ბეირუთის აღმოსავლეთი სექტორი, და მემარჯვენე ქრისტიანულ დაჯგუფებებს შორის ვაგლეზნისათვის ბრძოლის გამწვავებას, ერთმანეთს უკავშირებს.

ფოტოფაქტი



● საფრანგეთი

მასობრივი პროტესტი

პარიზი. დღეს საფრანგეთის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების — შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით იმართება დოკერთა 24 საათის საერთო-ეროვნული გაფიცვა.

ქვეყნის ყველა ნავსადგურში შეჩერებულია სამუშაოები. ამით მშრომელები პროტესტს გამოთქვამენ იმ მასობრივ დათხოვნათა წინააღმდეგ, რომლებიც ადმინისტრაციას აქვს დაგეგმილი. ხელისუფალთ განზრახული აქვთ მომდინარე წელს ნავსადგურის მუშაკთა პერსონალი მეოთხედით შეამცირონ და 2500-მდე კაცი შეემატება „ზედმეტ ადამიანთა“ სამილიონნიან არმიას.

იაპონია: კონტრასტების იმპერია

ერთი შეხედვით, ეს ორი ფოტოსურათი თითქოს განსხვავდება ერთმანეთისაგან, სინამდვილეში კი ისინი ერთ ქვეყანას — 80-იანი წლების შუახანების იაპონიას ასახავენ.

როგორც ბურჟუაზიული სოციოლოგები ამტკიცებენ, დასავლეთმა და იაპონიამ აღმოსავლეთში უკვე დიდი ხანია ფეხი შედგეს „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებაში“. სინამდვილეში „კაპიტალიზმის ქვეყნებში გრძელდება მოსახლეობის ფართო ფენების გაღატაკებისა და ერთი მუჭა მდიდრების კიდევ უფრო გამდიდრების აქტიური პროცესი, ამას მოწმობს ეს სურათებიც.

ბურჟუაზიული პროპაგანდის მრუდე სარკეში

როცა მინის სასახლეში ცხოვრობ...

ანუ სიცრუისა და ცინიზმის „ბუმერანგის ეფექტი“

თითქმის ერთი თვეა სიტყვა „ჩერნობილი“ დასავლეთ გერმანიის პროპაგანდა ათასნაირად ატრიალებს.

ამ სიტყვით არის აჭრელებული გაზეთებისა და ჟურნალების სათაურები, მისით იწყება რადიო და ტელეკომპანიების ახალი ამბების გადაცემები, მისი გამოყენება თავისებურ „რიტუალად“ იქცა პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლებში ნებისმიერი საბაბის გამო თუ უსაბაბოდ. უბედურება, საბჭოთა ადამიანებს რომ დაატყდათ თავს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „სენსაციად“ აქციეს, რომლისგანაც ზოგზოგები ცდილობენ თავიანთთვის სასარგებლო პოლიტიკური კაპიტალი დააგროვონ, გამოიწვიონ მტრობა და უხდობლობა საბჭოთა კავშირისა და მისი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკისადმი. ჩერნობილი სურთ აქცეონ იმის ერთგვარ პრაქტიკულ შემოწმებად, თუ რამდენად შესწევთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების უნარი, რამდენად შესაძლებელია მისი ღვარძლიანი ანტისაბჭოურობის ბაცილით მოწამვლა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მყოფ კაცს არ შეიძლება არ შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარია გარკვეულ წრეებს ხელს აძლევს, რათა ეჭვის ქვეშ დააყენონ სსრ კავშირის პოზიციური საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები, ესაა მოსცხონ საერთოდ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას.

რა ხრიკებს აღარ მიმართავდა ადგილობრივი პროპაგანდა, რა ამაზრზენი სიცრუე და ღვარძლი არ გადმოაპოხიეს გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, ტელეერანებზე, რაღას აღარ ამბობდნენ, ოღონდ კი დაეშინებინათ ობივატელი „აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი საფრთხის“ ახალი ვარიანტით! რა არ მოჭორეს: „ათასობით დაღუპულ“, „შიმშილი უკრაინაში“, „რადიოაქტიური უდაბნო“ ევროპის ცენტრში და ა. შ. და, ალბათ, არც არის გასაკვირი, რომ ამგვარი მონაჩმახით შიშშეპყრობილი დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი მცხოვრები გეოგრაფიულ რუკას ეცა, თუ სად შეეფარებინა თავი ამ საშინელებისაგან.

საფრონტო ცნობებიანთ კითხულობდნენ რადიოთი ჰაერისა და ნიადაგის დოზიმეტრიული გაზომვის მონაცემებს. მართალია, ციფრები არაფრისმთქმელი იყო ობივატელისათვის, მაგრამ ისინი აშკარად აშინებდნენ მას, ისევე როგორც ყოველად გაუგებარი მეცნიერული ტერმინები. და მხოლოდ ბოლოს გაკვრით ამბობდნენ, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში არაფერიაო. ბავშვებს უკრძალავდნენ ქუჩაში სეირნობას და ქვიშაში თამაშს, გლეხებს — მწვანილით ვაჭრობას, აკრძალავდნენ ძროხების ძოვებას მინდვრებში. შიშსა და პანიკას რომ თესავდნენ, ამავე დროს კვლავ გაკვრით აღიარებდნენ, რომ არავითარი „საშიშროება არ არის“ და ყოველივე ეს მხოლოდ წმინდა „პროფილაქტიკური მიზნითა“ არის საჭიროო. კამპანია წარმართებოდა ოფიციალური ინსტანციების მითითებით, რომლებიც რეგულარულად აწვდიდნენ „საჭირო“ ინფორმაციას პროპაგანდისტულ საშუალებებს...

ჩერნობილის ავარიის გამო დიდი პროპაგანდისტული აურზაური რომ ატეხეს და ანტისაბჭოური ისტერია გააღვივეს, ადგილობრივი პოლიტიკური მოღვაწეები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცდილობდნენ შთაეგონებინათ, თითქოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „ამგვარი რამ“ არ შეიძლება მოხდესო. მაგრამ ბოშში აშკარად გადამლაგეს. მოხდა ერთგვარი „ბუმერანგის ეფექტი“ — ასეთმა განცხადებებმა აღნიშნულ სფეროში არსებული რეალური ვითარებისადმი სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო და, თქვენ წარმოიდგინეთ, იგი არც ისე სახარბიელო აღმოჩნდა, როგორც ეს ცილისმწამებლებს სურდათ.

ნათქვამია, როცა მინის სასახლეში ცხოვრობ, ქვების სროლას უნდა ეროდეო, სწორედ ასე გამოვიდა.

გავლენიანმა ჟურნალმა „შტერნმა“ დოკუმენტური მონაცემების საფუძველზე უარყო ზემოაღნიშნული მტკიცებანი. „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბირთვული რეაქტორების მუშაობაში ხარვეზები ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო დიდი უწესივრობანი — არცთუ იშვიათი -გამონაკლისი. აბსოლუტურად უსაფრთხო რეაქტორები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არ არსებობს“, წერს იგი.

ჟურნალისტებმა მოახერხეს მიეღოთ კელნის „რეაქტორების უსაფრთხოების საზოგადოების“ რეესტრი, რომელშიც აღრიცხულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომურ ელექტროსადგურებში მომხდარი ყველა ავარია.

ბოლო ჩაწერა დათარიღებულია 1984 წლით. დოკუმენტი მოწმობს, რომ მარტო ამ წელს აქ მოხდა 149 სხვადასხვა „ინციდენტი“. გარდა ამისა, შარშან მარტში, მაგალითად, მოწყობილობის დეფექტების გამო დროებით შეწყდა „ობრიგჰაიმის“ ატომური ელექტროსადგურის ექსპლოატაცია. იმავე წლის ივნისში თითქმის ამოქმედებისთანავე შეაჩერეს „გუნდრემინგენის“ ატომური ელექტროსადგური. სხვადასხვა ავარიები და უწესივრობანი მოხდა „ნეკერვესტჰაიმ-2“, „გრონდეს“, „იზარის“, „ბიბლისის“, „მიულჰაიმ-კერლიხის“ ატომურ ელექტროსადგურებში.

მტკნარი სიცრუეა აგრეთვე დასავლეთის პროპაგანდის მიერ შეთითხნილი თეზისი „ინფორმაციის ნაკლებობის“ თაობაზე, რომელსაც საბჭოთა კავშირიდან იღებენ. კარგად არის ცნობილი, რომ კომპეტენტური საბჭოთა ორგანოები სათანადო ინფორმაციას როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ ჟურნალისტებს აწვდიან მისი მიღების კვალობაზე. ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ თუნდაც საკდესის ლენტს, რომელსაც ბევრი ხელმოწერი იღებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხოლო ადგილობრივ ფართო აუდიტორიამდე ეს ცნობები რატომღაც არ აღწევს და თუ აღწევს, ისიც საოცრად დამახინჯებულად. მაგალითად, არც ერთი ოფიციალური ცნობა სრული მოცულობით არ დაუბეჭდავს არც ერთ დასავლეთგერმანულ გაზეთს.

ან კიდევ ასეთი მაგალითი: უცხოელ ჟურნალისტთა შორის, რომლებიც ავარიის რაიონს ეწვივნენ, დასავლეთგერმანელი ტელეკორესპონდენტიც გახლდათ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აჩვენეს მისი რეპორტაჟი მოგზაურობის შესახებ. კამერამ აღბეჭდა სახიფათო რაიონიდან მოსახლეობის საევაკუაციო სამუშაოები, სპეციალისტები რაღაცას ლაპარაკობდნენ მიკროფონში, რაღაცას განმარტავდნენ, უპასუხებდნენ კითხვებზე. მაგრამ ყოველივე ეს იყო მხოლოდ სურათი: ის, თუ კონკრეტულად რაზე იყო საუბარი, რა მონაცემებს ასახელებდნენ, კორესპონდენტის სინდისზე დარჩა. კადრის მიღმა კი ომახიანად გაისმოდა ყავლგასული ტენდენციური კომენტარი იმის თაობაზე, თუ როგორ „ცდილობს საბჭოთა კავშირი დაფაროს სინამდვილე, წარმოადგინოს დამახინჯებული ინფორმაცია“...

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის გამო ანტისაბჭოური ისტერიის გასაღვივებლად ბომბა უზარმაზარი ძალები და საშუალებები აამოქმედა. მიაღწიეს თუ არა იმ ეფექტს, რასაც იმედოვნებდნენ? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არა. მართალია, ცოტა ხნით შეძლეს, რომ დასავლეთგერმანელთა ყურადღება ჩამოშორებინათ ლაბიაში ამერიკის ხმიდიონის დანაშაულისაგან, „ვარსკვლავეთის ომების“ მზაკვრული გეგმებისაგან, ნიკარაგუაში კონტრასთა ხრიკებისა და თანამედროვე მსოფლიოს სხვა აქტუალური პრობლემებისაგან, მაგრამ მხოლოდ დროებით, ცოტა ხნით. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბევრნი მალე მიხვდნენ, რა მიზანს ისახავს ეს კამპანია და ვის აძლევს იგი ხელს. „ჩერნობილში უბედურება მოხდა. სწორედ ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა უფრო სანინელი რამ არ მოხდეს — ბირთვული იარაღის შემთხვევითი თუ განზრახ გამოყენება“ — ნათქვამია „ქრისტიანთა სამშვიდობო კოონფერენციის“ განცხადებაში.

ჩერნობილის ავარიასთან დაკავშირებით ატეხილი პროპაგანდისტული აურზაური, აღნიშნულია დოკუმენტში, შირმაა გამალებული ბირთვული შეიარაღების დასაჩქარებლად. უგულებელყოფს რა საბჭოთა კავშირის ცალმხრივ მორატორიუმს დასავლეთი, უწინარესად შეერთებული შტატები, განაგრძობს ბირთვული იარაღის გამოცდას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გრძელდება პირველი დარტყმის ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებების განლაგება, ხორცს ისხამს „ვარსკვლავეთის ომების“ ავბედითი პროგრამა. სწორედ ამიტომ ბირთვული განიარაღების ამოცანა ქვაკუთხედად უნდა დაედოს ყველა იმათ საქმიანობას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა ჩვენს დედამიწაზე, ხაზგასმით აღნიშნავენ განცხადების ავტორები.

საკდესის მასალების მიხედვით.

ჟურნალისტ ალექსანდრ ბაბეჩავაძე

სახიფათო არსენალი

ნიუ-იორკი. „სპეციალისტები ამ რაიონს ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მოწამლულ უბანს უწოდებენ“, განაცხადა ამას წინათ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა კოლორადოს შტატისაგან კენეტ კრემერმა.

ასე გამოეხმაურა კონგრესმენი პრესის ცნობებს იმის თაობაზე, რომ ქიმიური შეიარაღების არსენალში, რომელსაც უდიდესი ფართობი უკავია შტატის ადმინისტრაციული ცენტრის — დენვერის საცხოვრებელი უბნების მახლობლად, გამუდმებით ხდება მომწამლავ ნივთიერებათა საშიში გაფენება.

როგორც გაზეთი „ფილადელფია ინკუაირი“ წერს, ბოლო ხანს არსენალის მახლობლად მდებარე დენვერის გარეუბნების ათიათასობით მცხოვრებმა შეატყო, რომ წყალი, რომელსაც ისინი ხმარობენ, შეიცავს ჯანმრთელობისათვის მეტად საშიშ ნივთიერებას — ტრიქლორეთილენს. იგი ქიმიური იარაღის ერთ-ერთი კომპონენტია. ამის გამო ახლა ისინი იძულებული არიან შემოტანილი წყალი იყიდონ. სამხედროების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ „დაახლოებით“ იციან საიდან ხვდება საწამლავი მიწისქვეშა წყაროებში და შესაბამის ზომებს ყოველ ღონისძიებებს ხმარობენ, მაგრამ მოქალაქეთა აზრით, ამ რაიონში მომწამლავ ნივთიერებათა, მათ შორის ნერვულ დამადამბლავებელი მოქმედების ნივთიერებათა დამამზადებელი საწარმოების არსებობის ათწლეულების მანძილზე იგი მთლიანად გადაიქცა გარემოს მომწამლავ უდიდეს კერად, რომლის ნეიტრალიზება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ტოკიო. იაპონიის ატომური ელექტროსადგურების მუშაკთა რადიოაქტიური დასხივების საშუალო დონე ყოველწლიურად ასჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. ამას მოწმობს აქ გამოქვეყნებული „ბირთვული ენერგეტიკის შავი წიგნის“ მონაცემები, რომელიც შეადგინეს მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივისტებმა. მასში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ხელისუფალნი არაფერს იშურებენ, რათა საიდუმლოების მეჩიდრო საბურველი ჩამოფარონ ავარიებს იაპონის ატომურ ელექტროსადგურებში.

დღევანდელ მოთხოვნათა დრინეზე

თითქმის წელიწად-ნახევარი [illegible] გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და „რაიონული და საქალაქო გაზეთების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საგარეჯოს რაიონული გაზეთის „ოვრის ვანთიადის“ რედაქციის მიერ გაწეული მუშაობა, არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია იგი და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიებები.

მას შემდეგ განვლილი დროის მანძილზე გაზეთის სარედაქციო კოლექტივის მუშაობაში ძირეული სასიკეთო ცვლილებები მოხდა, რაც უთუოდ მისდამი პარტიის რაიკომის სწორი ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგიც არის. „კომუნისტის“ რედაქცია ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ გარდაქმნებს, „ოვრის განთიადელთა“ საქმიანობას, ეხმარებოდა მათ. წლეულს ივნვარში „კომუნისტმა“ დაბეჭდა კიდეც ამ გაზეთის ბოლო ერთი წლის ნომრების მიმოხილვა და ძირითადად დადებითად შეაფასა მისი კოლექტივის საქმიანობა.

და მით უფრო კარგია, რომ „ოვრის განთიადი“ არ სჯერდება მიღწეულს, გამუდმებით ეძიებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის სახელმძღვანელო გადაწყვეტილებათა უთუო განხორციელებისათვის რაიონის მშრომელთა დარაზმვის ეფექტიან ფორმებსა და მეთოდებს.

ამის დამადასტურებელია თუნდაც მისი მეთაური სტატია „შემოვთაბრუნოთ საზოგადოება ახალი ამოცანებისაკენ“, რომელშიც პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და მათთან მჭიდრო ურთიერთკავშირით გამოკვეთილია რედაქციის ახლებური მუშაობის გეგმა, ახალი რუბრიკები, რომლებითაც გაზეთი გააშუქებს საკვანძო პრობლემებს, მთავარ სადღეისო ამოცანებს. იგი ერთგვარი ვალდებულებაც არის მკითხველთა წინაშე, გულახდილი, საქმიანი მოთათბირებაა მათთან, რადგან, როგორც ამ მეთაური წერილში სავსებით სამართლიანად არის აღნიშნული, „საქვეყნო საქმის წინსვლაში უდიდეს როლს ასრულებს გაზეთისა და მკითხველის მჭიდრო კონტაქტი, საკეთებლის გაუმჯობესობა“.

„ოვრის განთიადში“ უკვე დაიბეჭდა საქმიანი მასალები ახალი რუბრიკებით „დრო ახლებურად მუშაობას მოითხოვს“, „რა გვიჯდება პროდუქცია?“, „ყრილობამ დაგვავალა, კანონის ძალა აქვს“ და ა. შ.

ახლა სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებისათვის ზრუნვასთან ერთად საჭიროა გაზეთის კოლექტივმა უფრო გააქტიუროს და გაამრავალფეროვნოს მუშაობა, თავადაც გარდაიქმნას დღევანდელობის მოთხოვნათა [illegible] და აუცილებელი პროცესი ადგილებზე, რაიონის სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის თითოეულ შრომითს კოლექტივში.

* * *

სიფხიზლისათვის ბრძოლის საზოგადოების საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის, ალკა რაიკომის, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების, გაზეთ „ოვრის განთიადის“ რედაქციის ერთობლივი რეიდი რაიონში მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის, ფხიზელი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის მორიგ დათვალიერებას მიეძღვნა.

გამოვლინდა, რომ ჯერ კიდევ ყველა ერთნაირი პასუხისმგებლობით არ ეკიდება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, არ იცავს დადგენილ წესს. მაგალითად, რესტორან „თვალის“ სახინკლეში დალიდანვე, სამუშაო საათებში იყიდებოდა ლუდი, რომელიც ალკოჰოლიან სასმელებს მიეკუთვნება და დადგენილებით დღის ორ საათამდე აკრძალულია მისი გაყიდვა. რესტორნის დირექტორმა ნ. ივანელაშვილმა განაცხადა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო (?!).

მონაკვეთრის რაიონული საზოგადოების საბილიარდოში რეი

მხრეებს გაშლის „ოცნების ქალაქი“

„გაზეთი „კომუნისტი“ 1985 წლის 10 იანვარს წერდა:

„კომპლექს „მზიურის“ შემადგენელი ნაწილი გახდება ბოტანიკური ბაღი და ზოოპარკი, რომელიც ძველი ადგილიდან „გადაიცვლება“ მდინარე ვერეს სათავეში, სადაც მას დათმობილი აქვს 120 ჰექტარი ტერიტორია“.

ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელზეც ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირულმა მუშაკებმა განიხილეს „მზიურის“ კომპლექსის დაპროექტებისა და მშენებლობის დაჩქარების, მისი შემდგომი განვითარების საკითხები“.

ამ მასალის გამოქვეყნებიდან წელიწადზე მეტი გავიდა, ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს, თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა „მზიურის“ კომპლექსის და, კერძოდ, ზოოპარკის დაპროექტებისა და მშენებლობის დაჩქარებისათვის ამიტომ **„კომუნისტის“** კორესპოდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა პროექტის ავტორებს — საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის“ №1 სახელოსნოს ხელმძღვანელს **ირაკლი მასხარაშვილს** და „მზიურის“ საპროექტო სექტორის ხელმძღვანელს **გია აბულაძეს.**

— მოდით, თავიდან მკითხველს ავუხსნათ, რას ნიშნავს საპროექტო სექტორი „მზიური“?

გ. აბულაძე: — იმთავითვე ფართო ფრონტით გაიშალა მუშაობა ბავშვთა ქალაქ „მზიურში“. შეიქმნა დირექცია, თავიანთი დამკვეთები გაუჩნდა კონკრეტულ ობიექტებს. ამან კი გამოიწვია დამოუკიდებელი სპეციალიზებული საპროექტო ერთეულის ჩამოყალიბება, და ორი წლის წინათ შეიქმნა კიდევ სექტორი „მზიური“, რომელიც ახალგაზრდა არქიტექტორებსა და კონსტრუქტორებს ერთ შემოქმედებითს კოლექტივად აერთიანებს.

— როგორც ვიცით, დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით, ბოტანიკური ბაღი და ზოოპარკი „მზიურის“ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. გთხოვთ განმარტოთ, რას ნიშნავს კავშირი: „მზიური“ — ზოოპარკი — ბოტანიკური ბაღი?

ი. მასხარაშვილი: — მკითხველისათვის რომ ცხადი იყოს ეს კავშირი, საჭირო იქნება ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ იდეის კიდევ ერთხელ განმარტება, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ გახდა ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი: „მზიური“ წარმოადგენს ახალი ტიპის კომპლექსს, რომლის მიზანია მოზარდ თაობას შეუქმნას ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი გარემო დასვენებისა თუ ინტერესთა ძიების რთული პროცესისათვის.

თავისი იდეით „მზიური“ უნდა განვასხვავოთ ჩვენში და სხვაგან დღემდე არსებული მსგავსი ფუნქციის დაწესებულებებისაგან. მორალურად და ეთიკურად ჩვენთვის დაუშვებელია კომპილაცია — „ძართული დისნეილენდი“ ვერეს ხეობაში, რამაც იმთავითვე გაუგებრობა შეიტანა კომპლექსის იდეის აღქმაში. აქ აუცილებელია მკითხველმა სწორად გაიგოს ჩვენი პოზიცია, რომ საქმე გვაქვს გაცილებით სერიოზულ ამოცანასთან, ვიდრე მხოლოდ კომერციული ატრაქციონების ქალაქის შექმნაა, რა თანამედროვე ტექნიკური მიღწევებითაც უნდა იყოს იგი აღჭურვილი.

შეიქმნას ჰარმონიული გარემო მოზარდი თაობის სულიერ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და ამ მოთხოვნათა სწორი გზით წარმათვისათვის. ამ იდეის არსი სრულყოფილად იქნება გადმოცემული, თუ განვმარტავთ კომპლექსის წამყვან, განმასხვავებელ ფუნქციურ ნიშანს: საქმე ეხება, ერთი შეხედვით, ერთმანეთის საპირისპირო ორი მომენტის — შემეცნებისა და გართობის პროცესების შეთავსებას „მზიურის“ გარემოში.

კომპლექსის პროგრამაში ერთ-ერთი მთავარი იდეაა ბავშვის კონტაქტი ბუნებასთან, მისი ორმად შეცნობა, ადრეულ ასაკში ცოცხალი სამყაროს მიმართ სიყვარულისა და მზრუნველობის გაღვიძება. თანამედროვე მეცნიერულ მიღწევათა ეპოქაში უამისოდ წარმოუდგენელია ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება. ამიტომ გარემო, რომელშიც ბავშვთა ქალაქი განლაგდება, უნდა მოიცავდეს ბუნების ყველა შესაძლო ფენომენს, მის ფლორასა და ფაუნას, სახეობათა მრავალფეროვნებით და კონტრასტულობით.

მდიდარ ბუნებრივ სამყაროსთან უშუალო კავშირით იწყება სულიერად ძლიერი და ფიზიკურად ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებაც, ეს არის „მზიურის“ ფუნქციის სოციალურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამიტომ ბოტანიკური ბაღისა და საქალაქო ზოოპარკის გარეშე წარმოუდგენელია „მზიურის“ არსებობა.

— რამდენადაც ვიცით, არც ისე ადვილია ზოოპარკის ადგილმდებარეობის შერჩევა, იგი მრავალ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. საინტერესოა, რა პრინციპით შეირჩა ტერიტორია ახალი ზოოპარკისათვის?

გ. აბულაძე: — ტერიტორიის შერჩევა ძირითადად მოხდა ხეობის ოროგრაფიული მონაცემების მიხედვით, კერძოდ, მდინარე ვერეს ხეობა ამ ადგილას შედარებით გაშლილია, რელიეფი მრავალფეროვანია ფერდობების კონსტრატული ექსპოზიციით (ჩრდილოეთი, სამხრეთი), მშრალი ხევების და ნაოჭების სიმრავლით, რომლებიც თავისთავად ბუნებრივ ვოლიერებს წარმოადგენენ, გამდინარე წყლის ფაქტორით... აქვე ჩვენ მოვნიშნეთ ორი წყალსაცავი (მშენებლობა უკვე მიმდინარეობს), რომლებიც მნიშვნელოვნად გაამდიდრებენ გარემოს.

საგულისხმოა ისიც, რომ ამ დაცვის მუზეუმის ჩართვით. ეს იდეა, ჩვენი აზრით, თვისებრივად ამაღლებს როგორც ბოტანიკური ბაღის, ისე ზოოპარკის სტატუსს.

გარდა ამისა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეზობლობა აღნიშნულ კომპლექსთან.

ყოველივე ეს სავსებით შეესაბამება „მზიურის“ იდეას მზარდი თაობისათვის ენციკლოპედიურ-შემეცნებითი ბუნებრივი გარემოს შექმნის შესახებ.

— ახლა, ალბათ, მივადექით მთავარ საკითხს: რა პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ამ იდეის განხორციელებისათვის, რა სტადიაშია დღეს ზოოპარკის დაპროექტება და მშენებლობა?

ი. მასხარაშვილი: — ჩვენი საპროექტო გადაწყვეტილებები ხელახლა შეამოწმეს შესაბამისმა სამეცნიერო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა კომპეტენტურმა პირებმა. ამჟამად მიმდინარეობს წინასაპროექტო სამუშაოები. ზემოთ აღნიშნული დადგენილების თანახმად, ზოოპარკის მშენებლობის დაწყება გათვალისწინებულია 1988 წელს.

— და, რა თქმა უნდა, შესასრულებელია დიდი მასშტაბის სამუშაოები, რომლებიც თავისთავად დიდ სახსრებს უკავშირდება, რა ეტაპებად წარმოგიდგენიათ ახალი ზოოპარკის მშენებლობა?

— ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად აუცილებელია ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება, რომელიც საბოლოოდ დადგენს საჭირო კაპიტალდაბანდებებსა და მშენებლობის ეტაპებს, წინასწარი ვარაუდით და ანალოგებზე დაყრდნობით, თბილისის დღევანდელი ზოოპარკის სიმძლავრის გაუზრდელად, მის ახალ პირობებში გადატანა შესაბამისი კომუნიკაციებისა და აუცილებელი პერსპექტივის მონიშვნით შეიძლება დამთავრდეს მეცამეტე ხუთწლედის ბოლოს, 2-2,5 მილიონი მანეთი საშუალო წლიური კაპიტალდაბანდებით.

— დღეს მთელმა საქართველომ იცის, რომ ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ შექმნის იდეა ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის, ოღონდ კარგ იდეას კარგი განხორციელება უნდა. ამიტომ გისურვებთ თქვენ, ყველას, ვინც „მზიურის“ აშენებს, ძალისხმევა არ დაიკლოთ ვერეს ხეობაში „ოცნების ქალაქის“ მხარგაშლას.



„მზიურის“ ობიექტები: 1. გმირთა მოედანი, 2. არსებული ზოოპარკი, 3. „მზიურის“ I რიგი (ლუნაპარკი), 4. „მზიურის“ სპორტული კომპლექსი, 5. ძველთა დაცვის სასწავლო ცენტრი, 6. გამოჯვების პარკი, 7. უნივერსიტეტის კომპლექსი, 8. ეკოლოგიური აღზრდის ცენტრი, 9. სასწავლო-აღმზრდელობითი ცენტრი, 10. „მზიურის“ ცენტრი — გართობის ქალაქი, 11. სპორტული კომპლექსი, 12. პიონერთა ბანაკები, 13. სპორტული ბანაკი „ბეთანია“, 14. ზოოპარკის წყალსაცავი, 15. თბილისი-წყნეთი-მცხეთიდან-თბილისის წრიული ავტოტრასა (85 კმ. 1-2-დღიანი დასვენების ზონა).

უდგენელია „მზიურის“ არსებობა.

— რამდენადაც ვიცით, არც ისე ადვილია ზოოპარკის ადგილმდებარეობის შერჩევა, იგი მრავალ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. საინტერესოა, რა პრინციპით შეირჩა ტერიტორია ახალი ზოოპარკისათვის?

გ. აბულაძე: — ტერიტორიის შერჩევა ძირითადად მოხდა ხეობის ოროგრაფიული მონაცემების მიხედვით, კერძოდ, მდინარე ვერეს ხეობა ამ ადგილას შედარებით გაშლილია, რელიეფი მრავალფეროვანია ფერდობების კონსტრატული ექსპოზიციით (ჩრდილოეთი, სამხრეთი), მშრალი ხევების და ნაოჭების სიმრავლით, რომლებიც თავისთავად ბუნებრივ ვოლიერებს წარმოადგენენ, გამდინარე წყლის ფაქტორით... აქვე ჩვენ მოვნიშნეთ ორი წყალსაცავი (მშენებლობა უკვე მიმდინარეობს), რომლებიც მნიშვნელოვნად გაამდიდრებენ გარემოს.

საგულისხმოა ისიც, რომ ამ

ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲣᲨᲗᲐᲮᲝᲠᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ

ᲒᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ...

...**იგი** ზის ბარიერს მიღმა, წელში მოხრილი, თავჩაქნდრული. ცდილობს თავი აარიდოს მოსამართლის, სახალხო მსაჯულების, პროკურორის შეკითხვებს. განსაჯელის სკამზე ზის მუქთახორა. იგი პასუხისგებაში მიცემულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლით,

იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, მილიციის მოვალეობას შეადგენს. მაგრამ, როგორც ქალაქ თბილისის სახალხო მსამართლოების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, შინაგან საქმეთა ორგანოები საკმაო აქტიურობით არ ავლენენ ასეთ პირებს.

ისინი კი სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას. მაგალითად, 26 კომისრის სახელობის რაიონში ქურდობისა და ყაჩაღობისათვის გასამართლებულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა სასარგებლო შრომაში არ იყო ჩაბმული.

1977 წლიდან თბილისში ჩაიწერა ცხოვრობდა ა. ს. ჩერკასოვი. იგი მარტო 1984 წელს ოფიციალურად სამჯერ გაათრეს ოფიცალურად სამჯერ გაათრეს ბოლო შემდეგ მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: შვიდი წლის მანძილზე ჩერკასოვი, „პროფესიით“ მუქთახორა, საქარხნო რაიონის მილიციის თვალთახედვის არეში არ მოხვდა. ამდენსავე ხანს ქუქთახორულ ცხოვრებას ეწეოდა იმავე

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ მწერლისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ხსოვნის საღამო, რომელიც გაიმართა მისი სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლში, „გახსნა“... თავად შალვა დადიანმა. კინოქრონიკის კადრებმა შემოგვინახა, თუ როგორ მიმართავს შალვა დადიანი თანამემამულეებს, რომლებმაც იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იგი ამბობს, რომ მთელი თავისი ცხოვრება ლიტერატურასა და თეატრს მიუძღვნა.

შალვა დადიანს სრული უფლება ჰქონდა ეს სიტყვები წარმოეთქვა. ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო მან თავისი შემოქმედებითი გზა და ქართულ ხელოვნებას თითქმის სამოცი წლის დაუცხრომელი შრომა შეალია. მისი მდიდარი და მრავალმხრივი ნიჭი არ ეტეოდა რაღაც ერთი დარგის ფარგლებში. ნიჭიერმა დრამატურგმა, რომელიც ქართული საბჭოთა დრამატურგიის სათავეებთან იდგა, შექმნა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, რომელთაგან ბევრი იდგმებოდა რესპუბლიკისა და ქვეყნის წამყვან თეატრებში და თეატრალური ცხოვრების მოვლენა ხდებოდა. იგი იყო რეჟისორი და მსახიობი, რომელმაც თეატრსა თუ კინოში ორასზე მეტი როლი შეასრულა, საქართველოში მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

უდიდესი რეზონანსი ჰქონდა მის პროზაულ ნაწარმოებებს. შალვა დადიანის რომანები, მოთხრობები, ნოველები მრავალეროვნული კლასიკური ლიტერატურის საგანძურში შეავდა.

შალვა დადიანმა დიდხანს დალამაზად იცხოვრა და წარუშლელი კვალი დატოვა ყველას გულში, ვინც მას იცნობდა. მის შესახებ მოგონებებით საღამოზე გამოვიდნენ ცნობილი კულტურის მოღვაწეები, რომელთაგან ბევრი შალვა დადიანის გვერდით მუშაობდა, ახლოს იცნობდა მას. მათი მონათხრობით იკვეთებოდა ადამიანი, რომელიც მთელი ძალღონე, მთელი ნიჭი, დაუცხრომელი სული საყვარელ საქმეს, ადამიანებს შეალია. ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში შალვა დადიანის ძეგლთან კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის, ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში ბრონზეს გვერდით აწყვია თბილისელ მოსწავლეთა ყვავილებიც...

ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ პიანისტ ნინო ქათამაძეს კარგა ხანია გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთა შორის, მას შესანიშნავი საფორტეპიანო სკოლა აქვს გავლილი: თბილისის ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალურ მუსიკალურ სკოლაში 5 წლის ასაკიდან ეუფლებოდა საფორტეპიანო ხელოვნებას რუსანოვის დამსახურებული პედაგოგის ს. გაბუნის ხელმძღვანელობით. 14 წლისამ პირველი სოლო კონცერტი გამართა, ზშირად გამოდიოდა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, შემდეგ კი სწავლა განაგრძო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში — პროფესორ ე. გურევიჩის კლასში, რომელმაც მას განუვითარა საშემსრულებლო მხარე, არტისტიზმი...

როდესაც 1977 წელს ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსზე პირველი პრემია და ლაურეატობა მოიპოვა, 1979 წელს კი ნ. ქათამაძე ბარზაში მარგარიტა ლონგინასა და ვაჟ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ხდება. ამას მოსდევს 1983 წელს ბელგრადის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვება.

1985 წლის ნოემბერში ნ. ქათამაძე მიიწვიეს ბულგარეთში იუნესკოს საერთაშორისო ფესტივალზე. საბჭოთა კავშირიდან იქ მიწვეული იყვნენ რუსეთის ფსნერ სახალხო არტისტი პროფესორი ნატალია შახოვსკაია, რუსეთის ფსნერ სახალხო არტისტი ვ. პიკაიზენი და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ნ. ქათამაძე. ფესტივალმა დიდი წარმატებით ჩაიარა, საბჭოთა მუსიკოსებმა დახვეწილი საშემსრულებლო ოსტატობა აჩვენეს.

ნ. ქათამაძე გარდა ჩვენი ქვეყნისა, დიდი წარმატებით გამოსულა უნგრეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიის ქალაქებში.

აი რას წერდნენ ბერლინელი პიანისტის ოსტატობაზე ბელგრადის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის შემდეგ: „ჩვენ მოვისმინეთ მაღალი ხელოვნებით აღჭურვილი რამდენიმე შემსრულებელი. ეს ყველაზე მეტად ეხება ქართველ პიანისტს ნ. ქათამაძეს. იგი ხატიფი, მკაფიო ხელოვანია“. სვიატოსლავ მაკროვიჩი, (გაზეთი „ტანიუგი“).

„საერთაშორისო კონკურსზე საბჭოთა პიანისტები ტრიუმფით გამოვიდნენ, ნ. ქათამაძემ კი მათ ეცილნენ ტემპერამენტი მინიჭა“. ბეკანა ნიკოლაევიჩი. (გაზეთი „პოლიტიკა“).

„ორი პირველი პრემია მიენიჭა საბჭოთა პიანისტებს ნ. ტრულს და ნ. ქათამაძეს, თუმცა უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ ეს პირიქით მომხდარიყო, რადგან ნინო უფრო არტისტული და საკონცერტო ტიპის შემსრულებელია, მას შეუძლია თავისი ძლიერი და შთაგონებული დაკვრა გადააქციოს დიდ და სასიამოვნო მოვლენად“. (გაზეთი „ბორბა“).

ამას წინათ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტზე ნ. ქათამაძემ შეასრულა ლისტის „ნიშნობა“ და სონატა სი მინორი, იუგოსლაველი კომპოზიტორის მოკარანეცის სიუიტა „ეკო“ და პროკოფიევის სონატა №8 სი ბემოლ მაჟორი.

ეს საღამო დიდხანს ემახსოვრებათ მსმენელთ, ნ. ქათამაძის არტისტიზმის, მუსიკალური სახეების გამოკვეთის და ფილოსოფიურ სიღრმეებში წვდომის წყალობით ნინომ „ბისზე“ დაუკრა ბარტოკის „ალეგრო ბარბარო“ და ამით დაადგინა კონცერტი.

შთამბეჭდავი იყო ბოლო კონცერტიც. სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდა რ. ტაკიძე. პირველ განყოფილებაში სიამოვნებით მოვისმინეთ ჩეხი კომპოზიტორის დვორკაკის სიმფონია №5. მეორე განყოფილებაში ნ. ქათამაძემ დიდი შთაგონებითა და ბრწყინვალე ტექნიკური გაქანებით შეასრულა ჩაიკოვსკის კონცერტი №1, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მისი პიანიზმის მასშტაბურობას.

ი. ნადირაძე,
მუსიკათმცოდნე.

ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲐᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲙᲘᲠᲘᲜᲔᲑᲓᲘᲗ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, პირველ ყოვლისა, იმ საქმის გაკეთებას ეშურება, რომელსაც უფრო მნიშვნელოვნად, უმთავრესად მიიჩნევს. ბევრი კეთილი საქმის გადაწყვეტა სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ღირებულად მიიჩნევენ მას.

ჩვენში ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი მოძრაობის განვითარების ძირითადი დაბრკოლება ის არის, რომ ბევრმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნო მისი ნამდვილი „ღირებულება“, ბოლომდე ვერ ირწმუნა, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ყოველდღიური ზრუნვა არანაკლებ პასუხსაგები საქმეა და ასევე არანაკლებ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე, ვთქვათ, პირადი თუ საწარმოო გეგმის შესრულება. არადა, რა არ კეთდება ამისათვის: შეუნელებელ პროპაგანდას ეწევა პრესა და ტელევიზია. იმართება ნაირ-ნაირი ჯანმრთელობის ზეიმები: ფიზკულტურელის დღე, მორბენლის დღე... მაგრამ გაიღლის ეს „დღეები“ გაზაფხულის ჭექა-ქუხილივით და სპორტულ ბაზებსა თუ პარკებში, კვლავ ნაცნობი ღუმილი გამეფდება. არა, ეს ღონისძიებები თავის კვალს ტოვებენ ჩვენს ფიზკულტურულ მოძრაობაში, მაგრამ ეს კვალი, რა დასამალია, ჯერჯერობით არც ისე ღრმაა.

ჯერ კიდევ ყველაფერი არ კეთდება სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა მატერიალური ბაზის შესაქმნელად, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოგვარებული მათი სრული დატვირთვით გამოყენების საკითხი. ვთქვათ, შენდება სკოლის ახალი შენობა. მის სპორტულ სექტოს რატომღაც ბოლოსთვის მოიტოვებენ, ანდა ნაჩქარევად ააგებენ. თბილისში, მაგალითად, 18 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას აქვს საკუთარი საცურაო აუზი, მაგრამ რად გინდა? — მათგან ნახევარი სულ არ მუშაობს, ნახევარი — მხოლოდ დროდადრო. ახი როგორ იმუშავებენ, როცა მშენებლებს უამრავი ხარვეზი აქვთ დაშვებული და ბევრი აუზის ექსპლოატაცია კაპიტალური რემონტის გარეშე თითქმის შეუძლებელია. თუ ამას წყლის მოწოდების პრობლემას დავუმატებთ, სურათი უფრო ნათელი გახდება.

თბილისი იზრდება და იზრდება, ახალი კვარტალები ემატება. მაგრამ ბევრ უბანში კორპუსებს შორის, შესაძლოა, სპორტული მოედნები საერთოდ ვერ იპოვოთ. ასეთი მოედნები იქნებ მართლაც არსებობს, მაგრამ.. მხოლოდ პროექტში მათი მოწყობა და აშენება, „წესისამებრ“, გადადებულია უახლოესი მომავლისათვის, რომლის მოსვლასაც საშეელი აღარ ადგება ხოლმე. მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდება — ნუკუბიძის პლატოს დასახლება გავიხსენოთ: იქ ერთი პატარა ქალაქი აშენდა, მაგრამ ამ „ქალაქში“ მშენებლებს ერთი პატარა სპორტული მოედანიც არ მოუწყვიათ.

სპორტული ბაზებისადმი უყურადღებობის ნიმუშად რუსთაველ მუშაკთა საკციელი შეიძლება დავასახელოთ. გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე რამდენჯერმე გამოქვეყნდა კრიტიკული წერილები ამ ქალაქის №8 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორასთან არსებული საფარიკო დარბაზის საკალალო მდგომარეობაზე. ამის შესახებ გაზეთმა „კომუნისტმაც“ შეახსენა რუსთაველის საქალაქო საბჭოს მუშაკებს. ხანგრძლივი დუმილისა და უმოქმედობის შემდეგ რუსთაველებმა გადაწყვიტეს „კოსმეტიკური“ სამუშაოებით გამოესწორებინათ საქმე: დარბაზს ოდნავ შეუცვალეს იერი, მაგრამ სპორტულ ბაზას ამით არაფერი მომატებია, იმ დარბაზში ნორჩ მუშაკებერებს კი არა, მტერს არ უსურვებ შესვლას.

მსგავსი მაგალითების მოყვანა, სამწუხაროდ, კიდევ შეიძლება. ზოგიერთ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში სპორტულ მოედნებს სახნავ-სათესად იყენებენ, ქალაქში —საგარაჟედ.. გადახნეს წალკის რაიონის სოფელ რეხის ფეხბურთის მოედანი, არც ერთი სპორტული მოედანი არა აქვთ ქარელის რაიონის სოფელ ტახტისძირის ახალგაზრდებს, ავმალის გზატკეცილზე, 41ბ კორპუსის ეზოში მდებარე გარაჟის თავზე გათვალისწინებული სპორტული მოედნების ნაცვლად საქათმეები და ტალავრებია მოწყობილი... ასეთი სარიგრები ჯერ კიდევ ხშირად მოგვდის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

არანაკლებ მწვავედ დგას არსებული სპორტული ბაზების გამოყენების საკითხი. თვით საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება და რბილი ჰავა ჩვენი ჯანმრთელობის კაპიტალია. თუ ბუნებისაგან ნაბოძებ სიკეთეს ადამიანის ხელით შექმნილსაც დავუმატებთ და სათანადოდ გამოვიყენებთ, ამით ჩვენივე ჯანმრთელობა მოიგებს მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი დიდი და პატარა სპორტული მოედანია გამოუყენებელი. უკანასკნელ ხანს სხვადასხვა დონეზე მოწყობილმა სარეიდო ბრიგადებმა ბევრი მოუვლელი, უმოქმედო სპორტული ბაზა აღმოაჩინეს, თუმცა პატარა მოედნებზე რა უნდა ვთქვათ, როცა აგერ უკვე რამდენი წელია ფაქტობრივად უმოქმედოდ გვქონდა მიტოვებული შესანიშნავი სარბიელი, ბენებასთან ჰარმონიულად შერწყმული სპორტული ბაზა — „ლოკომოტივის“ სტადიონი, რომლის რეკონსტრუქციაც ახლოდა დაგიწყეთ, რათა მომავალში მაინც სრულად გამოვიყენოთ მისი ყველა სიკეთე. თითებზე ჩამოსათვლელია სამაგალითო სპორტული ობიექტები, სადაც მუშაობა ისეა ორგანიზებული, რომ მართლაც სრულად უპასუხებს ამ ბაზისადმი შესაძლებლობებს. ერთი ასეთი ბაზაა, მაგალითად, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის წყალჯოგირდობის კომბინატი. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მსურველებს ვერც ჩვენ ხელთ არსებული კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები ეყოფა. გარდა ამისა, ბევრს დროის სიმცირის გამო არ შეუძლია იქ რეგულარულად ვარჯიში. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მარტივი ტიპის მოედნების ქსელის გაფართოებას, ჯანმრთელობის კლუბების შექმნას. სასიხარულოა, რომ ასეთი კლუბების რიცხვი თანდათან მატულობს. ბევრგან მათ ენთუზიასტები აყალიბებენ და თუკი რამე უშლით ხელს, ისევ სათანადოდ ხელშეუწყობლობა. მაგალითად, თბილისის ზღვაზე რამდენიმე „დამოუკიდებელი“ კლუბი არსებობს, რომელთაც საკუთარი „ბაზა“, თუნდაც მცირე (ვთქვათ გასახდელი), არ გააჩნიათ. დიახ, მათ ხელშეწყობა ჭირდებათ.

...ყველამ იცის, რომ თუ ქარხანაში ან ფაბრიკაში სრულად ვერ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, მათ ხელმძღვანელობას ადრე თუ გვიან პასუხს მოსთხოვენ. სპორტული ბაზებიც ხომ იგივე საამქროებია, ოღონდ — ხალხის ჯანმრთელობის საამქროები და მათმა მესვეურებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ ბაზების უმოქმედობისთვისაც ასევე მკაცრად მოჰკითხავენ.

გ. პავლიაშვილი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. საკავშირო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში მოასპარეზე გუნდები ასე დაწყვიდნენ: მინსკის „დინამო“ — აბოვიანის „კოტაიკი“, მოგილიოვის „დნეპრი“ — ლენინგრადის „ზენიტი“, **თბილისის „დინამო“ — როსტოვის „როსტსელმაში“,** მოსკოვის „სპარტაკი“ — ცსკა, **ბათუმის „დინამო“ — ხარკოვის „მეტალისტი“,** სიმფეროპოლის „ტავრია“ — ოდესის „ჩერნომორეცი“, გროდნოს „ხიმიკი“—ბაქოს „ნეფთჩი“, ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ნიკოპოლის „კოლოსი“—დონეცკის „შახტიორი“, როგის „დუგავა“ — ალმა-ათის „ყაირათი“, ყარაგანდის „შახტიორი“ — მოსკოვის „დინამო“, სტავროპოლის „დინამო“ — კიევის „დინამო“, **კიროვაბადის „ქიფაზი“ — ქუთაისის „ტორპედო“,** ვილნიუსის „ჟალგირისი“ — კრასნოდარის „ყუბანი“, ლვოვის ასკ „კარპატი“ — ერევნის „არარატი“, მოსკოვის „ტორპედო“ — სარატოვის „სოკოლი“. მატჩები გაიმართება 14 ივნისს პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.

ᲑᲐᲓᲠᲐᲯᲘ: ქალთა შორის მსოფლიო პირველობის მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და ელენე ახმილოვსკაიას შორის დაიწყება მომდინარე წლის 1 სექტემბერს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, 8 პარტიის შემდეგ კი იგი გაგრძელდება საკუთრორტო ქალაქ ბორჯომში.

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ მიმდინარე 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატის ათი ტურის შემდეგ 8,5 ქულით ლიდერობს უნგრელი მოჭადრაკე მადლი. მომდევნო ადგილებზე არიან საბჭოთა მოჭადრაკეები ბაგინსკაიტე — 7,5 ქულა, პრუდნიკოვა — 6,5, სოფიევა — 6, მატვეევა და არაბმია — 5,5-5,5.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ქალაქ ტულაში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაზე შესანიშნავად ისპარეზი თბილისელმა **ოთარ მჭედლიშვილმა.** მან სპრინტერთა შეჯიბრებაზე ყველას აჯობა და პირველ ადგილს დაესაკუთრა, 60 წრეზე ხუთი-საშუალედო ფინიშით ჯგუფურ რბოლაში მეორე იყო ხოლო 200 მეტრზე გიტში (სელით) — მესამე.

ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲑᲣᲠᲗᲘ. თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრებული ეაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები-ფრუნზეს „დინამო“-50:64, პოლონეთის „ვისლა“-ჩეხოსლოვაკიის „რუდა ჰვეზდა“ — 78:79, მოსკოვის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 102:119. ამრიგად, თბილისის დინამოელებმა ტურნირის ხუთივე მატჩი მოიგეს და პირველ ადგილს დაეუფლნენ. 4 მოგებით მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ „ვისლა“, ფრუნზეს „დინამო“, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები და „რუდა ჰვეზდა“.

ᲩᲝᲠᲑᲝᲠᲘ. დიუსელდორფში (გფრ) მოეწყო მსოფლიო თასის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შვეიცის, გფრ-ის ჩეხოსლოვაკიის, აშშ-ს, საფრანგეთის, არგენტინის, შვეიცარიის და ავსტრალიის ნაკრებმა გუნდებმა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და შვეიცის ჩოგბურთელები. საფრანგეთის ნაკრებმა გიმიარჯვა ანგარიშით 2:1 და თასს დაეუფლა.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ